ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზი იმერეთის რეგიონში

საქართველოს დემოკრატიის სახლი

DEMOCRACY HOUSE
OF GEORGIA

ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი

ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი
TKIBULI DISTRICT DEVELOPMENT FUND
TDDF

2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზი იმერეთის რეგიონში

მონიტორინგის ანგარიში

2020 წ.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ორგანიზაციების საქართველოს დემოკრატიის სახლისა და ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციები საქართველოს დემოკრატიის სახლი და ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

ავტორები:

ირინა ქართველიშვილი მონიტორინგის ხელმღვანელი

ზაზა გოჩელაშვილი მონიტორინგის ექსპერტი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

სარჩევი

მონიტორინგის მეთოდები და პროცესი 4

ნორმატიული ბაზა და სამუშაო პროცესი 4

2019 წლის სოფლის მხარადაჭერის პროგრამის პრიორიტეტები და განხორციელების პრინციპები 5

1. გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ 5
2. მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა 5
3. მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა 5
4. პროცესის გამჭვირვალობა 6
5. მოსამზადებელი სამუშაოები 6
6. საერთო კრებების სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება 6
7. მოსახლეობის ინფორმირება 7
8. მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება 8
9. საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები 8
10. კონსულტაციის მეშვეობით საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები 10
11. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება 10
12. ერთობლივი საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურის თავისებურებები 11
13. პროექტების დამტკიცება საკრებულოს მიერ 11
14. შესყიდვები 12
15. მონიტორინგი 12

ბაღდათის მუნიციპალიტეტი 12

საჩხერის მუნიციპალიტეტი 17

ვანის მუნიციპალიტეტი 22

თერჯოლის მუნიციპალიტეტი 26

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 29

ტყიბულის მუნიციპალიტეტი 34

ხონის მუნიციპალიტეტი 39

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 44

სამტრედიის მუნიციპალიტეტი 47

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი 53

ჭიათურის მუნიციპალიტეტი 56

დასკვნები და რეკომენდაციები 61

დასკვნები 61

რეკომენდაციები 62

მონიტორინგის მეთოდები და პროცესი

წინამდებარე მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზი იმერეთის რეგიონში. კერძოდ, კვლევის მიზანს წარმოადგენდა გარკვეულიყო:

- იმერეთის 11 მუნიციპალიტეტში რამდენად შეესაბამებოდა საჭიროებების გამოვლენა, მოქალაქეთა ჩართულობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- განხორციელდა თუ არა ყველა შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტი, ან რა დონემდე განხორციელდა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მუშაობა წარიმართა ორი მიმართულებით:

- იმერეთის რეგიონის 11 თვითმმართველი თემისაგან 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების დოკუმენტაციის გამოთხოვა და ანალიზი;

- 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელების ანალიზი.

მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასების მიზნით იმერეთის რეგიონის 11 თვითმმართველი თემიდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია. წერილობითი მოთხოვნა თებერვლის თვეში დაეგზავნათ მუნიციპალიტეტებს. მუნიციპალიტეტებიდან საჯარო ინფორმაცია მიღებული იქნა თებერვალ-მაისის პერიოდში. რიგი მუნიციპალიტეტებიდან საჭირო გახდა ინფორმაციის არაერთხელ დამატებით გამოთხოვა, თუმცა ზესტაფონისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებისაგან მაინც ვერ მოხერხდა სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. პარალელურად, მოხდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური საიტების დათვალიერება, მათზე პროაქტიულად გამოქვეყნებული დოკუმენტების არსებობის დადგენისა და შესწავლის მიზნით. სულ 2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იმერეთის რეგიონში განხორციელდა 7 500 000 ლარზე მეტი ღირებულების 1040 პროექტი.

ბოლო ეტაპზე განხორციელდა მიღებული ინფორმაციის ანალიზი და მომზადდა დასკვნები და რეკომენდაციები, რაც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის შემდგომი საქმიანობის ეფექტურობის ხარისხის გაზრდას.

ნორმატიული ბაზა და სამუშაო პროცესი

იმერეთის რეგიონში 2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზის საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“[1], საქართველოს მთავრობის 28.12.2018 წლის N654[2] დადგენილება, საქართველოს მთავრობის N45[3] და N208[4] განკარგულებები და მათ საფუძველზე მიღებული იმერეთის თვითმმართველი თემების გადაწყვეტილებები და სხვა აქტები. აღსანიშნავია, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტისათვის საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით თავდაპირველად გამოიყო 19,947,000.00 ლარი, N208 განკარგულებით განხორციელდა თანხის გაორმაგება. ამ პერიოდისათვის მუნიციპალიტეტების უმრავლესობას უკვე ჩატარებული ჰქონდა მოსახლეობასთან შეხვედრების ძირითადი ნაწილი. თანხის გაორმაგების შემდეგ თავიდან შეხვედრების ჩატარება აღარ განხორციელდა.

---

[1] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=49

[2] საქართველოს მთავრობის 28.12.2018 წლის N654[2] დადგენილება https://matsne.gov.ge/ka/document/view/4774764?publication=0

[3] საქართველოს მთავრობის N45 განკარგულება http://gov.ge/files/524_69682_146232_45.pdf

[4] საქართველოს მთავრობის N208 განკარგულება http://gov.ge/files/524_70233_862214_208.pdf

2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტები და განხორციელების პრინციპები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება საქართველოს მთავრობამ 2009 წლიდან დაიწყო. პროგრამის ფარგლებში საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 50 მილიონი ლარი გამოიყოფა. აღნიშნული თანხა ხმარდება სოფლის როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებას. აღსანიშავია, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს მხოლოდ შერჩეული სოფლის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არამედ თანხის გამოყოფა ხორციელდება ისეთ პროექტებზეც, რომელიც სოციალური ხასიათისაა და არავითარი ეკონომიკური სარგებელი არ გააჩნია.

პროგრამა 2009 წლიდან 2016 წლამდე ფუნქციონირებდა და 2019 წელს ის ახალი სახით აღდგა.

2019 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პროცესი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, რისთვისაც დასახლებებში იმართება საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები, სადაც მოქალაქეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი პროექტის შერჩევის თაობაზე.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტის მერი ერთვება მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პროექტების შესარჩევად ჩატარებული კენჭისყრის დროს ორმა ან მეტმა საპროექტო წინადადებამ მიიღო სხვებზე მეტი და თანაბარი რაოდენობის ხმა, საუკეთესო პროექტებიდან რომელიმეს შერჩევის მიზნით, ან პროექტების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხის გადაწყვეტისას.

მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს დასახლებების საერთო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებს.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია მუნიციპალიტეტის საკუთარ რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. საამისოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა იძლევა მუნიციპალური ბიუჯეტიდან პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობას, მაგრამ არაუმეტეს დასახლებისათვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის 100%-სა. ასევე მისასალმებელია, თუ თანადაფინანსების მოპოვება მოხერხდება დონორებისგან/კერძო სექტორიდან, ან თავად მოსახლეობა შეიტანს შრომით თუ სხვა სახის წვლილს განსახორციელებელ სამუშაოებში.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ეძლევათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ინფორმაციის თავისუფლად მიღების, საპროექტო წინადადებების შემუშავების, წარდგენის, მათ შესახებ ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობის უზრუნველყოფის სახით. მუნიციპალიტეტი ყველა შესაძლო საშუალებით ახდენს პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, საერთო კრებებზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პროცედურების ორგანიზებასა და მათი სხდომების ჩატარების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი ყველა ეტაპზე უნდა მიმდინარეობდეს გამჭვირვალედ, მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელება. დასახლებების საერთო კრებები, მათზე კენჭისყრისა და შედეგების დათვლის პროცედურები ასევე ღია და საჯარო უნდა იყოს და მათზე შეუფერხებელი დასწრების, დაკვირვებისა და აუდიო-ვიდეო ჩაწერის პირობები უნდა შეექმნას ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ან ორგანიზაციას.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მუნიციპალიტეტის მერი ქმნის სამუშაო ჯგუფს და ანაწილებს ფუნქციებს სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის.

სამუშაო ჯგუფის წევრები მსჯელობენ და განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

დასახლებისათვის გამოყოფილი თანხის გაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპით:

ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს გამოეყოფა 10 000 ლარი;

ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს გამოეყოფა 12 000 ლარი;

გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს გამოეყოფა 16 000 ლარი;

დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს გამოეყოფა 20 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად.

6. **საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების, სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება ხდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა ხდება ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითება მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები, მათი დღის წესრიგი, თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების სხდომის/კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

მერის ბრძანება, მისი გამოცემიდან 3 კალენდარული დღის ვადაში ქვეყნდება პროაქტიულად მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე, ასევე, გამოეკვრება ამობეჭდილი სახით მერიის ადმინისტრაციულ შენობასა და ყველა დასახლებაში მდებარე საჯარო შენობებსა და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში.

დასახლებებში საერთო კრების მოწვევის თარიღებად შეიძლება განისაზღვროს მერის ბრძანების გამოცემის დღიდან არაუადრეს მე-15 დღე.

მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადასა და დასახლების საერთო კრებების სხდომებს/კონსულტაციებს შორის შუალედს მერიის შესაბამისი სამსახური გამოიყენებს მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების რელევანტურობის შესაფასებლად და დასახვეწად, ამ წინადადებების ჩამონათვალის მოსამზადებლად, აგრეთვე, საჭიროებისას, თავად მერიის მიერ ცალკეული საპროექტო წინადადებების მოსამზადებლად.

საერთო კრებების მოწვევის და მოსახლეობასთან კონსულტაციების ჩატარების ორგანიზებას, მერის ბრძანებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ სხვა ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელებას უზრუნველყოფენ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური - მისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული და ბეჭდვითი საშუალებებით, აგრეთვე, მერის წარმომადგენლები შესაბამის დასახლებებში, საკრებულოს მაჟორიტარი წევრები - თავიანთ სარჩევნო ოლქებში და, არსებობის შემთხვევაში, საერთო კრების რჩეულები.

7. მოსახლეობის ინფორმირება

მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებას. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ გასავრცელებელი ინფორმაციის მინიმუმი ასეთია:

7.1. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს და სხვა საშუალებებით მოსახლეობაში უნდა გავრცელდეს ინფორმაცია დასახლებებში განსახორციელებელი პროექტებისათვის გამოყოფილი საორიენტაციო თანხის ოდენობის ფარგლებში, მოქალაქეების მიერ საპროექტო წინადადებების (დანართი 2-ის ფორმით) მერიაში წარმოდგენის უფლებაზე შემდეგი მიმართულებებით:

- სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა და ა.შ. გაწმენდებით); წყაროების მოპირკეთება;
- სარწყავი სისტემები;
- სანიაღვრე არხები;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- გზები;
- ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;
- გარე განათება;
- სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
- ამბულატორიის შენობები;
- კულტურის ობიექტები;
- სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;
- სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;
- წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;
- სასაფლაოს შემოღობვა;
- თავშეყრის ადგილები, მოსაცდელები;
- მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

7.2. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს. ასევე, მოსახლეობაში უნდა გავრცელდეს დასახლების საერთო კრებების / კონსულტაციების ინიცირების თაობაზე მერის ბრძანებაში მოცემული ინფორმაცია.

7.3. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს და სხვა საშუალებებით შესაბამის დასახლებებში უნდა გავრცელდეს ინფორმაცია საერთო კრებების სხდომებზე/კონსულტაციებზე განსახილველი საპროექტო წინადადებების შესახებ.

7.4. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს დასახლებების საერთო კრებების სხდომების / კონსულტაციების ოქმები დანართებით, გასკანერებული სახით, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7.5. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს და სხვა საშუალებებით შესაბამის დასახლებებში უნდა გავრცელდეს ინფორმაცია მერიის მიერ

საკრებულოსთვის საკრებულოში წარსადგენად შემუშავებული პროექტების ნუსხისა და ცალკეული განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების შესაძლებლობის შესახებ მოსაზრებები.

7.6. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია საკრებულოს მიერ სოფლის დახმარების პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

7.7. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების მიზნით გამოცხადებული ტენდერებისა და მათი შედეგების შესახებ.

7.8. მუნიციპალიტეტმა უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

საინფორმაციო კამპანიის დროს დასახლებებში გავრცელებული მასალები უნდა იყოს მომზადებული მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე, მარტივად აღსაქმელი ლექსიკის გამოყენებით.

8. მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება

საპროექტო წინადადებების მოქალაქეებისგან მიღებას ახდენენ მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტოდ განსაზღვრული მერიის უფლებამოსილი პირები, რომლებიც განსაზღვრული არიან მერის შესაბამისი ბრძანებით.

წერილობითი სახით საპროექტო წინადადებების მოსახლეობისგან მიღება ხდება მერის ბრძანებით განსაზღვრულ შესაბამის სამსახურში (მაგალითად, ინფრასტრუქტურის სამსახურში) და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში.

მერიის შესაბამისი სამსახური ადგენს განსახილველი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალს და უგზავნის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს. ისინი თავის მხრივ საერთო კრების სხდომის მოწვევის/კონსულტაციების ჩატარების თარიღისა და განსახილველი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ მოსახლეობაში, საჯარო შენობებში და მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში თვალსაჩინო ადგილას განცხადებების გამოკვრით. მერია დასახლებების კრებების სხდომებსა და კონსულტაციებზე განსახილველი საპროექტო წინადადებების მთლიან ნუსხას აქვეყნებს პროაქტიულად მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე.

თუ მოქალაქეებისგან დასახლების საერთო კრების სხდომაზე/ კონსულტაციაზე განსახილველად არც ერთი საპროექტო წინადადება არ შემოვიდა, მერიის შესაბამისი სამსახური, მოსახლეობის საჭიროებების წინასწარი შესწავლის საფუძველზე, დასახლების საერთო კრებისათვის თავად ამზადებს განსახილველ ერთ, ან რამდენიმე საპროექტო წინადადებას. ასეთ შემთხვევაში საპროექტო წინადადების ავტორად მიეთითება მუნიციპალიტეტის მერია.

9. საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით:

დასახლებაში, რომელშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;

საერთო კრების სხდომის დაწყებისთანავე კრების წევრები გადიან სხდომაზე დასწრების რეგისტრაციას. სარეგისტრაციო ბლანკის შევსებისას ისინი მიუთითებენ საკუთარ სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის (ე.წ. „ჩაწერის“) ადგილს და აწერენ ხელს. საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილი მოხელე. ის წინასწარ ამზადებს და ამობეჭდავს სარეგისტრაციო ბლანკებს აღნიშნული გრაფებით. კრების წევრები თავად ავსებენ აღნიშნულ გრაფებს, საჭიროებისას მათ შევსებაში ეხმარება მერიის უფლებამოსილი მოხელე (ხელმოწერის გრაფის შევსების გარდა).

კანონის მიხედვით, საერთო კრების საქმიანობას წარმართავს (სხდომას თავმჯდომარეობს) მერიის უფლებამოსილი მოხელე, გარდა იმ დასახლების საერთო კრებისა, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული. თუ საერთო კრების რჩეული ადგილზე იმყოფება, მაშინ ის წარმართავს სხდომას, ხოლო მერიის უფლებამოსილი მოხელე მას ეხმარება და შეიძლება შეასრულოს სხდომის მდივნის ფუნქცია.

კანონის მიხედვით, საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-სა. მერიის უფლებამოსილი მოხელე/რჩეული სარეგისტრაციო ფორმების მიხედვით ითვლის დამსწრეთა რაოდენობას და, თუ ამ რაოდენობამ დასახლებაში რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობის 20%-ს გადააჭარბა, უკვე შესაძლებელია საერთო კრების სხდომის გახსნილად გამოცხადება, მომსვლელთა ნაკადის შეწყვეტისა და მათი რეგისტრაციის დასრულებისთანავე, ოღონდ არაუადრეს მერის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხდომის დაწყების დროისა.

საერთო კრება მუშაობს წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზნებისთვის საერთო კრების დღის წესრიგში, მერის ბრძანების შესაბამისად, ხდება ერთი საკითხის შეტანა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა. სხდომის თავმჯდომარე დამსწრეებს აცნობს დღის წესრიგის მიხედვით განსახილველი პროექტების ჩამონათვალს.

კრების წევრთა ინფორმირება განსახილველი საპროექტო წინადადებების თაობაზე ხდება როგორც სხდომის გამართვის წინა პერიოდში, ასევე უშუალოდ კრების სხდომაზე: საპროექტო წინადადებების ყველა ავტორს, ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ეძლევა 10 წუთი თავისი ინიციატივის კრების მონაწილეთათვის გაცნობისათვის, რის შემდეგაც აზრის გამოთქმა შეუძლია სხდომაზე ნებისმიერ დამსწრეს, რისთვისაც თითოეულს ეძლევა 2 წუთი.

თუ მსჯელობისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ შესაძლებელია ჩამონათვალში არსებული ორი ან მეტი საპროექტო წინადადების ერთ წინადადებად ტრანსფორმირება, ან გაჩნდა ახალი საპროექტო წინადადების იდეა, შესაძლებელია კრების სხდომის მსვლელობისას ადგილზე შევსებულ იქნეს ახალი საპროექტო წინადადების ფორმა და შევიდეს ცვლილებები საპროექტო წინადადებების ჩამონათვალში. ჩამონათვალში ცვლილების შეტანის საკითხს სხდომის თავმჯდომარე აყენებს კენჭისყრაზე და მას ხელის აწევით მხარი უნდა დაუჭიროს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ[3].

როდესაც დასრულდება ყველა საპროექტო წინადადების განხილვა, ხდება ღია კენჭისყრის ჩატარება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევის მიზნით. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ სხდომაზე დამსწრე დასახლების საერთო კრების წევრები.

კანონის მიხედვით, დასახლების საერთო კრების წევრებად ითვლება დასახლებაში რეგისტრირებული ყველა ამომრჩეველი.

საერთო კრების სხდომაზე დამსწრე წევრებს სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს, რომ ყველა საპროექტო წინადადებას კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, ჩამონათვალში მოცემული რიგითობის მიხედვით, ხოლო საერთო კრების წევრებს უფლება აქვთ, ხელის აწევით გამოხატონ თავისი მხარდაჭერა ერთი ან რამდენიმე საპროექტო წინადადების მიმართ. მერიის უფლებამოსილი მოხელე ითვლის და ინიშნავს თითოეული საპროექტო წინადადების მიერ მიღებული ხმების რაოდენობას.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე აცხადებს საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად შერჩეულ იქნა საპროექტო წინადადება, რომელმაც კენჭისყრის დროს ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხოლო სხვა საპროექტო წინადადებები განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში პირველ ადგილზე გასული წინადადების განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები აღმოჩნდა.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, თუ კენჭისყრის დროს ორმა ან მეტმა საპროექტო წინადადებამ მიიღო სხვებზე მეტი და თანაბარი რაოდენობის ხმა, გადაწყვეტილებას მიიღებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, სოფლის

მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად შეარჩევს კენჭისყრით გამოვლენილი საუკეთესო და ერთნაირი შედეგის მქონე საპროექტო წინადადებას/წინადადებებს.

10. კონსულტაციის მეშვეობით საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით:

- დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100-მა ამომრჩეველმა;
- დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროქტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200-მა ამომრჩეველმა.

კონსულტაციის ჩატარებას და პროექტის შერჩევის პროცედურებს უძღვება მერიის უფლებამოსილი მოხელე.

ისეთ დასახლებებში, სადაც არსებობს კონსულტაციაზე დამსწრეთა საპროგნოზო რაოდენობის ერთ შენობაში/სივრცეში შეკრების ჩატარების შესაძლებლობა, საპროექტო წინადადებების შერჩევა მოხდება ღია კენჭისყრით, კონსულტაციის დამსწრე ამომრჩევლების მიერ.

ისეთ დასახლებებში, სადაც არ არსებობს კონსულტაციაზე დამსწრეთა საპროგნოზო რაოდენობის ერთ შენობაში/სივრცეში შეკრების ჩატარების შესაძლებლობა, მიზანშეწონილია საპროექტო წინადადებების შერჩევის გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, თუ კენჭისყრის დროს ორმა ან მეტმა საპროექტო წინადადებამ მიიღო სხვებზე მეტი და თანაბარი რაოდენობის ხმა, გადაწყვეტილებას მიიღებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად შეარჩევს კენჭისყრით გამოვლენილი საუკეთესო და ერთნაირი შედეგის მქონე საპროექტო წინადადებას/წინადადებებს.

11. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

საერთო კრების სხდომის/კონსულტაციის ჩატარება და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით. ოქმში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების/კონსულტაციის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა/კონსულტაციის მონაწილეთა რაოდენობა, განხილული საკითხი, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს თან ერთვის სხდომაზე/კონსულტაციაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები.

ოქმის შედგენას უზრუნველყოფს და მას ხელმოწერით ადასტურებს მერიის უფლებამოსილი მოხელე. საერთო კრების რჩეულის არსებობის შემთხვევაში ოქმს ხელს აგრეთვე აწერს საერთო კრების რჩეულიც (ადგილზე ყოფნის შემთხვევაში).

კონსულტაციის დროს საპროექტო წინადადებების ფარული კენჭისყრით შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მერიის უფლებამოსილი მოხელის გარდა საერთო კრების ოქმს ხელს დამატებით აწერენ ის პირები, რომლებიც აკვირდებოდნენ კენჭისყრის პროცედურებს. ასეთები შეიძლება იყვნენ დამკვირვებლები: პროექტების ავტორები ან მათი წარმომადგენლები/მხარდამჭერები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები და დაინტერესებული მოქალაქეები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, დააკვირდნენ კენჭისყრის პროცედურებს, მათი გამართვის რომელიმე ეტაპზე და ამას დაადასტურებენ საერთო კრების სხდომის ოქმზე ხელმოწერით, მისი შედგენის შემდეგ.

ოქმის ხელმოწერის შემდეგ ადგილზე მყოფ ყველა მსურველს ეძლევა მისი ფოტოგადაღების შესაძლებლობა და (ტექნიკური შესაძლებლობის შემთხვევაში) ოქმის ქსეროასლი გამოეკვრება თვალსაჩინო ადგილას.

საერთო კრების/კონსულტაციის ოქმის (დანართებთან ერთად) მერიაში წარდგენას უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილი მოხელე საერთო კრების გამართვიდან 3 დღის ვადაში. დასკანერებული სახით ოქმი (დანართებით) ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე პროაქტიულად, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში. ოქმები (დანართებით) ინახება მუნიციპალიტეტის მერიაში.

12. ერთობლივი საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურის თავისებურებები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რამდენიმე დასახლებისათვის გამოყოფილი ფინანსების კონსოლიდირება (გაერთიანება) ერთი პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ყველა ამ დასახლების საერთო კრებამ/კონსულტაციაში მონაწილე მოსახლეობამ დაუჭირა მხარი ასეთი ერთობლივი საპროექტო წინადადების განხორციელებას.

საპროექტო წინადადება, რომელიც მიმართულია რამდენიმე დასახლებისათვის საერთო
პრობლემური საკითხის გადაწყვეტაზე, ხოლო მისი სავარაუდო ღირებულება აღემატება თითოეული ამ დასახლებისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი საორიენტაციო თანხების ოდენობა (მაგრამ არ აღემატება მათ ჯამურ ოდენობას), განიხილება, როგორც ერთობლივი საპროექტო წინადადება და შეიტანება ყველა ამ დასახლების საერთო კრების მიერ/ კონსულტაციაზე განსახილველ პროექტთა ჩამონათვალში.

ერთობლივი საპროექტო წინადადების განაცხადის ფორმის პირველ გრაფაში უნდა მიეთითოს ყველა იმ დასახლების სახელწოდება, რომელთა საერთო კრებებზე / კონსულტაციებზე უნდა მოხდეს აღნიშნული საპროექტო წინადადების განხილვა.

13. პროექტების დამტკიცება საკრებულოს მიერ

საერთო კრებების მიერ საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის მერია ადგენს დასახლებების მიხედვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის პროექტს, თითოეულის სავარაუდო ღირებულების მითითებით.

თუ ცალკეული პროექტების სავარაუდო ღირებულება, საპროექტო წინადადების უფრო დეტალურად განხილვისა და შეფასების შემდეგ, მეტი აღმოჩნდა დასახლებისთვის (ერთობლივი პროექტების შემთხვევაში - დასახლებათა ჯგუფისთვის) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ოდენობაზე, (აგრეთვე, სახელმძღვანელოს მე-9 თავში განხილული ერთობლივი პროექტების შემთხვევებში), მუნიციპალიტეტის მერია განიხილავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ასეთი პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობას, ასევე, საერთაშორისო ან/და დონორი ორგანიზაციების მიერ ან საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით. თუ ასეთი საშუალება ვერ გამოინახა, დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში ასეთი პროექტის ნაცვლად შესაძლებელია იმ საპროექტო წინადადების გათვალისწინება, რომელსაც დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილებით სხვებზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს (მომდევნოა კენჭისყის შედეგებით). ყველა ასეთი შემთხვევის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ და ეცნობება როგორც საპროექტო წინადადებების ავტორებს, ასევე მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტს (პროექტების თანდართული ნუსხით, მათი სავარაუდო ღირებულების მითითებით) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ დადგენილების პროექტს, რომლითაც უნდა აისახოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ფინანსები.

მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და განკარგულებით ამტკიცებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხას და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების დადგენილებას.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა და საკრებულოს განკარგულება ამ ნუსხის დამტკიცების თაობაზე წარედგინება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ქვეყნდება საჯაროდ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 1 აპრილამდე სრულად

გაუნაწილებლობის შემთხვევაში, დარჩენილი თანხა დაუბრუნდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს. ფონდში აგრეთვე დაბრუნდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომიები (მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი შესყიდვების განხორციელების შემდეგ).

14. შესყიდვები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ

სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებების შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ანუ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით.

15. მონიტორინგი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პროცესის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტებიდან ინფორმაციის გამოთხოვისა და დასახლების საერთო კრებებზე/კონსულტაციებზე ჩატარებული ვიზიტების მეშვეობით.

სამინისტროს გარდა, მონიტორინგის პროცესში ჩართული იქნებიან სახელწიფო რწმუნებული-გუბერნატორების აპარატები, ცენტრალური და ადგილობრივი მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია, პროცესი წარმართოს ღიად და საჯაროდ, დაუყოვნებლივ ან გონივრულ ვადებში გასცეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პირადი და კომერციული საიდუმლოების გარდა).

მუნიციპალიტეტმა უნდა წაახალისოს მოქალაქეები, ადგილობრივი მედია და არასამთავრობო სექტორი, დააკვირდნენ და გააშუქონ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პროცესის ყველა ეტაპი, განსაკუთრებით - დასახლებებში საერთო კრებების / კონსულტაციების ჩატარება, მ.შ. მოქალაქეების მიერ კრებების / კონსულტაციების ვიდეოგადაღებისა და სოციალურ ქსელებში ლაივ-სტრიმით პირდაპირი ჩართვების სახით, რაც გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას და მოსახლეობის ნდობას ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი[5]

ბაღდათის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი. ფართობი 815 კვ. კმ. ბაღდათის მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი - ბაღდათი და 25 სოფელი, აქედან ერთი - მაღალმთიანი დასახლების სტატუსით. მოსახლეობა შეადგენს - 19830. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 26.5 კაცს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 83% ცხოვრობს სოფლად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 173000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა გაორმაგდა და შეადგინა 346000 ლარი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N4165 ბრძანებით მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი.

[5] ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://www.baghdati.gov.ge/ge

სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა მუნიციპალიტეტის მერი და მასში მხოლოდ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები იყვნენ წარმოდგენილნი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N4169 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები და გადაწყვეტილების მიღების ფორმა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებების სხდომები. მოსახლეობასთან კონსულტაციები არ გამართულა, რადგანაც მუნიციპალიტეტმა ყველა სასოფლო დასახლებაში სათითაოდ შეხვედრა არ გამართა და ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ერთი საერთო კრების გამართვის პრინციპი აირჩია, რითაც დარღვეული იქნა პროგრამის ძირითადი არსი - მოსახლეობასთან შეხვედრები ყველა სასოფლო ტიპის დასახლებაში უნდა გაიმართოს.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია მუნიციპალიტეტის საკუთარ რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 346000 ლარს. ბაღდათის მუნიციპალიტეტმა მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება და დამატებით გამოყო 63700 ლარი. პროგრამის ფარგლებში სულ მუნიციპალიტეტში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 409700 ლარი.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ჰქონდათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათი მხრიდან პროგრამის ფარგლებში განსახილველად წარმოდგენილი იყო 33 საპროექტო წინადადება.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

დარღვეული იყო პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი თითქმის ყველა ეტაპზე. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ იძებნება პროცესის მიმდინარეობის შესახებ არცერთი აქტი, რომელიც მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ იქნა მიღებული. ვებსაიტზე შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მოძიება სიახლეების სახით.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნციპალიტეტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N4169 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები. მოწოდებული დოკუმენტაციით

ირკვევა, რომ უკვე 8 იანვარს, მუნიციპალიტეტმა მიუთითა, რომ თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი იქნა გაორმაგებული თანხა, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის N208 განკარგულებით მიღებული იქნა 2019 წლის 8 თებერვალს.

6. **საერთო კრებების სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების საერთო კრებების სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში დღის წესრიგის მითითება არ განხორციელებულა. მითითებული იქნა თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა, თითოეული კრების სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

7. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. **მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება**

მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი იქნა 33 საპროექტო წინადადება.

9. **საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები**

ბაღდათის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირეულად იქნა დარღვეული.

მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 13 შეხვედრა, ნაცვლად მინიმუმ 24 შეხვედრის ჩატარების ვალდებულებისა. აღნიშნულით დარღვეულ იქნა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების მე-6 და მე-11 პუნქტები. პრობლემა პირველ რიგში თავად პროცესის დაგეგმვას უკავშირდებოდა - შეხვედრების წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, 24 დასახლებულ პუნქტში საერთო კრების გამართვისათვის გამოყენებული იქნა სულ 4 დღე, 4-დან 7 თებერვლამდე შუალედში. ყველა სხდომას ძირითადად თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის მერი. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისაგან შემდგარ ერთსა და იმავე ჯგუფს ორ-სამ სხვადასხვა სოფელში კრების ჩატარება მხოლოდ 3 საათის ინტერვალით უწევდა. ეს კი ხელს უშლიდა კრებების დროს პრობლემების საფუძვლიან განხილვებსა და მსჯელობებს სოფლის მოსახლეობის წუხილზე.

დარღვეული იყო ასევე მთავრობის N654 დადგენილების მე-6 პუნქტით განსაზღვრული საერთო კრებისა და კონსულტაციის გამართვისათვის აუცილებელი მოთხოვნები. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ყველა შეხვედრას ერქვა საერთო კრება.

მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 08.01.N41 69 ის ბრძანების დანართი N1					
N	დასახლე ბის სახელწოდ ება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილე ბის მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი	ლოკაცია
1	დიმი	04.02.2019 10:00	საერთო კრების სხდომა	20 000	დიმის კულტურის სახლი
	საიმედო		საერთო კრების სხდომა	10 000	
2	ვარციხე	04.02.2019 13:00	საერთო კრების სხდომა	20 000	ვარციხის საჯარო სკოლა
3	ზედა ზეგანი	04.02.2019 16:00	საერთო კრების სხდომა	10 000	ზეგნის ადმინ- ლი შენობა
	წიფა			10 000	
	ნებიერეთი			10 000	
	ქვედა ზეგანი			12 000	
4	საკრაულა	04.02.2019 16:00	საერთოკრების სხდომა	12 000	საკრაულას საჯარო სკოლა
5	ფერსათი	05.02.2019 10:00	საერთო კრების სხდომა	20 000	ფერსათის საჯარო სკოლა
	შუბანი			12 000	
6	წითელხევი	05.02.2019 13:00	საერთო კრების სხდომა	20 000	წითელხევის საჯარო სკოლა
7	როხი	05.02.2019 16.00	საერთო კრების სხდომა	20 000	როხის საჯარო სკოლა
8	მეორე ობჩა	06.02.2019 10:00	საერთო კრების სხდომა	16 000	მეორე ობჩის ადმ-ლი შენობა
9	პირველი ობჩა	06.02.2019 13:00	საერთო კრების სხდომა	20 000	პირველი ობჩის საჯარო სკოლა
10	დიდველა	06.02.2019 16:00	საერთო კრების სხდომა	16 000	როკითის საჯარო სკოლა
	როკითი			16 000	
11	ნერგეეთი	07.02.2019 11:00	საერთო კრების სხდომა	20 000	ნერგეეთის საჯარო

	წაბლარასხევი			10 000	სკოლა
	წყალთაშუა			10 000	
	დაფენილი			10 000	
	ალისმერეთი			10 000	
12	ზედა დიმი	07.02.2019 11:00	საერთო კრების სხდომა	16 000	ზედა დიმის საჯარო სკოლა
13	ხანი	07.02.2019 15:00	საერთო კრების სხდომა	16 000	ხანის საჯარო სკოლა
	კაკასხიდი			10 000	

ამ შემთხვევაში, მთავრობის დადგენილებით კრების უფლებამოსილების ცნობისათვის განსაზღვრული იყო დამსწრეთა მინიმუმი - დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლების 20%, რაც თითქმის ყველა შემთხვევაში დარღვეული იყო (გამომდინარე იქიდან, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ყველა დასახლებაში საერთო კრების ჩატარება). მაგალითად, სოფელ დიმში რეგისტრირებული 4475 ამომრჩევლიდან კრებას ესწრებოდა 205 ამომრჩეველი. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იყო გაემართა მოსახლეობასთან კონსულტაცია და 200 ამომრჩეველზე მეტის დასწრების გამო, შეხვედრის უფლებამოსილების ლეგიტიმურობის საკითხიც არ დადგებოდა.

სულ ბაღდათის მუნიციპალიტეტში გამართულ 13 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 60 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ყველა შემთხვევაში განხორციელდა ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 41 საპროექტო წინადადება.



10. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების სხდომის შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ყველა ოქმს თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები.

11. შესყიდვები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების, მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად, გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

12. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: დიმი, როხი, კაკასხიდი. შერჩეული პროექტები სამივე სოფელში განხორციელებულია. სოფელ როხში ადგილობრივი კულტურის სახლის მოწყობის პროექტი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი. პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა მხოლოდ სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი მასალები, უშუალოდ სამუშაოები კი ადგილობრივმა მოსახლეობამ განახორციელა. პროცესში ჩართული იყო 55 ადამიანი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 40 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება.

საჩხერის მუნიციპალიტეტი[6]

საჩხერის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი საჩხერე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია შეადგენს 973 კმ²-ს. მუნიციპალიტეტში 46 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 45 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 13 ადმინისტრაციულ ერთეულში. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე არის 48,1 ადამიანი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 83,7% ცხოვრობს სოფლად.

საჩხერის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 336000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 672000 ლარი.

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N5334 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

---

[6] საჩხერის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://sachkhere.gov.ge/ge/

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები და გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	არგვეთი	15.02.2019 / 13:00	კონსულტაცია	8000
2	ბახიოთი	18.02.2019 / 11:00	საერთო კრება	6000
3	იტავაზა	15.02.2019 / 11:00	საერთო კრება	8000
4	იცქისი	15.02.2019 / 17:00	საერთო კრება	6000
5	მახათაური	18.02.2019 / 15:00	საერთო კრება	8000
6	სავანე	15.02.2019 / 15:00	კონსულტაცია	10000
7	შალაური	18.02.2019 / 13:00	საერთო კრება	5000
8	ცხამი	18.02.2019 / 17:00	საერთო კრება	8000
9	გორისა	11.02.2019 / 15:00	კონსულტაცია	10000
10	გამოღმა არგვეთი	11.02.2019 / 17:00	კონსულტაცია	8000
11	კორბოული	22.02.2019 / 16:00	კონსულტაცია	10000
12	ნიგვზარა	22.02.2019 / 14:00	საერთო კრება	8000
13	შომახეთი	22.02.2019 / 12:00	საერთო კრება	8000
14	ივანწმინდა	11.02.2019 / 11:00	საერთო კრება	8000
15	მერჯევი	11.02.2019 / 13:00	კონსულტაცია	10000
16	საირხე	12.02.2019 / 16:00	კონსულტაცია	10000
17	კალვათა	12.02.2019 / 12:00	საერთო კრება	6000
18	ჭორვილა	20.02.2019 / 16:00	კონსულტაცია	10000
19	სარეკი	08.02.2019 / 14:00	კონსულტაცია	10000
20	ბაჯითი	08.02.2019 / 12:00	საერთო კრება	8000
21	ქვემო ხევი	19.02.2019 / 16:00	საერთო კრება	5000
22	ქორეთი	12.02.2019 / 14:00	კონსულტაცია	10000
23	ჩიხა	07.02.2019 / 16:00	კონსულტაცია	10000
24	დუნთა	08.02.2019 / 16:00	საერთო კრება	5000
25	ზედა ორღული	07.02.2019 / 12:00	საერთო კრება	8000
26	სხვიტორი	08.02.2019 / 18:00	კონსულტაცია	8000
27	ქვედა ორღული	07.02.2019 / 14:00	საერთო კრება	8000
28	ცხომარეთი	19.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
29	მოხვა	19.02.2019 / 12:00	საერთო კრება	6000
30	ჭალა	13.02.2019 / 14:00	კონსულტაცია	8000
31	დარყა	14.02.2019 / 16:00	საერთო კრება	8000
32	დრბო	13.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
33	პერევი	14.02.2019 / 12:00	კონსულტაცია	8000
34	საკოხია	13.02.2019 / 16:00	საერთო კრება	5000
35	სპეთი	13.02.2019 / 12:00	კონსულტაცია	8000
36	ღონა	13.02.2019 / 16:00	კონსულტაცია	8000

37	ჟურნალი	14.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
38	ჯრია	14.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
39	ჭალოვანი	21.02.2019 / 13:00	საერთო კრება	8000
40	ვაკისა	21.02.2019 / 17:00	საერთო კრება	5000

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 672000 ლარს. საჩხერის მუნიციპალიტეტმა მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება და დამატებით გამოყო 62900 ლარი. პროგრამის ფარგლებში სულ მუნიციპალიტეტში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 734900 ლარი.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ჰქონდათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათ წინადადებების წარმოდგენა შეეძლოთ 2019 წლის 8 იანვრიდან 22 იანვრის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ მათი მხრიდან ინიციატივები წარმოდგენილი არ ყოფილა, რაც მუნიციპალიტეტის შესაბამისი მოხელეების მხრიდან ინფორმაციის გავრცელების ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

დარღვეული იყო პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი თითქმის ყველა ეტაპზე. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ იძებნება პროცესის მიმდინარეობის შესახებ არც ერთი აქტი, რომელიც მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ იქნა მიღებული. ვებსაიტზე შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მოძიება სიახლეების სახით.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნციპალიტეტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N4169 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები. სულ გაიმართა 18 კონსულტაცია და 27 საერთო კრება.

6. **საერთო კრებების სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში ასევე მიეთითა სხდომის დღის წესრიგი. მითითებული იქნა თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ

მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

მერის ბრძანება, მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ გამოქვეყნებულა, განხორციელდა მისი გამოკვრა ამობეჭდილი სახით მერიის ადმინისტრაციულ შენობასა და ყველა დასახლებაში მდებარე საჯარო შენობებსა და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში.

7. მოსახლეობის ინფორმირება

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება

მოსახლეობისაგან საპროექტო წინადადებები არ შემოსულა.

9. საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

საჩხერის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 45 შეხვედრა. მათ შორის 17 კონსულტაცია და 28 საერთო კრება.

სულ საჩხერის მუნიციპალიტეტში გამართულ 45 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 172 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა დახურული, უმრავლეს შემთხვევაში ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 65 საპროექტო წინადადება.



10. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

საჩხერის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ყველა ოქმს თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- ცხომარეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ცხომარეთში 2019 წლის 19 თებერვალს გაიმართა საერთო კრება. კრებას დასახლებაში რეგისტრირებული 236 ამომრჩევლიდან ესწრებოდა 36 ამომრჩეველი, რაც სხდომის უფლებამოსილად ცნობისათვის საჭირო აუცილებელ მინიმუმზე 95 ამომრჩევლით ნაკლებია. შესაბამისად, საერთო კრება არ შეიძლებოდა უფლებამოსილად ჩათვლილიყო. ანალოგიური შემთხვევაა იმავე ადმინისტრაციული ერთეული სოფელ მოხვაში, სადაც კრების უფლებამოსილად ცნობისათვის აუცილებელი მინიმუმის - 91 ამომრჩევლის ნაცვლად სხდომას ესწრებოდა 38 ამომრჩეველი.

- რამდენიმე შემთხვევაში ოქმში მითითებულია, რომ შეხვედრაზე დაყენებული საპროექტო წინანადებებიდან გამარჯვებულად გამოვლინდა ერთი, ან ორი ინიციატივა, სხვა საპროექტო წინადადებების განხორციელება კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხმათა უმრავლესობით ცნობილი ინიციატივის განხორციელებას რაიმე წინააღმდეგობა შეხვდება.

- ჯალაურთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯალაურთაში გამართულ კონსულტაციას ესწრებოდა 205 ამომრჩეველი. სხდომაზე განსახილველად დაყენებული იყო 4 საპროექტო წინადადება. ღია კენჭისყრის შედეგად ყველა ინიციატივის განხორციელება დადებითად იქნა გადაწყვეტილი და 4-ივე წინადადებამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა 205 ხმა მიიღო.

11. შესყიდვები

საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცებული იქნა ორჯერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.03.2019 წლის N5411 და 22.07.2019 წლის N5428 განკარგულებებით. განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად, გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

12. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: კორბოული, სარეკი, ვაკისა. შერჩეული პროექტები სამივე სოფელში განხორციელებულია სრულად და ხარისხიანად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ საჩხერის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 64 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 2 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა.

ვანის მუნიციპალიტეტი[7]

ვანის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ვანი. მუნიციპალიტეტის ფართობია 557 კვ.კმ. მუნიციპალიტეტში 41 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 40 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 18 ადმინისტრაციულ ერთეულში. მოსახლეობის რიცხოვნება 2014 წლის აღწერის მონაცემებით შეადგენს 24 512 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 44.0 კაცს. ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 74,7% ცხოვრობს სოფლად.

ვანის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 285000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 570000 ლარი.

ვანის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N2010 ბრძანებით მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა მუნიციპალიტეტის მერი და მასში მხოლოდ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები იყვნენ წარმოდგენილნი.

ვანის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N2014 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების გრაფიკი.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო.

ლოკაცია	ბენეფიციარი, მოსახლეობა	ორშ	სამშ	ოთხშ	ხუთშ	პარ	შაბ	კვ	ორშ	სამშ	ოთხშ
		4.02.2019	5.02.2019	6. 02.2019	7.02.2019	8.02.2019	9.02.2019	10.02.2019	11.02.2019	12.02.2019	13.02.2019
გადიდის ადმ.ერთეული შენობა	გადიდი 349	14:00									
ზედავანის საჯარო სკოლა	ზედა ვანი 1169	12:00									
ამაღლების ადმ.შენობა	ამაღლება 1462		14:00								
ბზვანის ადმ.ერთეულის შენობა	ბზვანი 1209		12:00								
სპრასიის ადმ. ერთეულის შნობა	საპრასია 738			12:00							
უხუთის ადმ.ერთეულის შენობა	უხუთი 666			14:00							
გორას ადმ.ერთეულის შენობა	გორა 1515			16:00							
ფერეთას ადმ ერთეულის შენობა	ფერეთა 735				14:00						

[7] ვანის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://vani.gov.ge/

სალომინაოს ადმ.ერთეულის შენობა	სალომინაო 784				12:00						
ზეინდრის ადმ შენობა	ზეინდარი 1795				16:00						
ძულუხის ადმ. შენობა	ძულუხი 480					16:00					
სულორის ადმ. ერთეულის შენობა	სულორი 838					14:00					
დიხაშხოს ადმ შენობა	დიხაშხო 1879					12:00					
ყუმურის ადმ შენობა	ყუმური 696								12:00		
ტობანიერის ადმ.შენობა	ტობანიერი 1299								14:00		
მთისძირის ადმ შენობა	მთისძისრი 939									12:00	
შუამთის ადმ. ერთეულის შენობა	შუამთა 1651									14:00	
მუქედის ადნ.შენობა	მუქედი 634									16:00	
სალხინოს ადმ შენობა	სალხინო 801										12:00
ციხესულორის ადმ შენობა	ციხესულორ 1098										14:00

ვანის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებებისა და კონსულტაციების სხდომები. მერის 08.01.2019 წლის N2014 ბრძანების დანართით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტმა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ერთი საერთო შეხვედრის გამართვის პრინციპი აირჩია, რითაც დარღვეული იქნა პროგრამის ძირითადი არსი - მოსახლეობასთან შეხვედრა ყველა სასოფლო ტიპის დასახლებაში უნდა გაიმართოს.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია მუნიციპალიტეტის საკუთარ რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 570000 ლარს. ვანის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება, პირიქით, პროგრამის ფარგლებში სულ მუნიციპალიტეტში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 567425 ლარი, რაც გამოყოფილ თანხასთან შედარებით 2575 ლარით ნაკლებია.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის მხრიდან ინიციატივები წარმოდგენილი არ ყოფილა. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცემულ არც ერთ აქტში არ არის გამოყოფილი შესაბამისი ვადები მოსახლეობის მხრიდან საპროექტო ინიციატივების წარმოდგენასთან დაკავშირებით.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

დარღვეული იყო პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი თითქმის ყველა ეტაპზე.

მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ იძებნება პროცესის მიმდინარეობის შესახებ არც ერთი აქტი, რომელიც მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ იქნა მიღებული. ვებსაიტზე შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მოძიება სიახლეების სახით.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნიციპალიტეტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ვანის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N2014 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების თარიღები. ბრძანებაში არ არის გაწერილი შეხვედრების ინიცირების პროცედურები.

6. **საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების, სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში დღის წესრიგის მითითება არ განხორციელებულა. ასევე, არ იქნა მითითებული თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები. მერის ბრძანება მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ გამოქვეყნებულა, განხორციელდა მისი გამოკვრა ამობეჭდილი სახით მერიის ადმინისტრაციულ შენობასა და ყველა დასახლებაში მდებარე საჯარო შენობებსა და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში.

7. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. **საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები**

ვანის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირეულად იქნა დარღვეული.

სულ მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 20 შეხვედრა, ნაცვლად მინიმუმ 40 შეხვედრის ჩატარების ვალდებულებისა. აღნიშნულით დარღვეული იქნა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების მე-6 და მე-11 პუნქტები. პრობლემა პირველ რიგში თავად პროცესის დაგეგმვას უკავშირდებოდა - შეხვედრების წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის

მიხედვით, 40 დასახლებულ პუნქტში საერთო კრების გამართვისათვის გამოყენებული იქნა სულ 10 დღე, 4-დან 13 თებერვლამდე შუალედში.

დარღვეული იყო ასევე მთავრობის N654 დადგენილების მე-6 პუნქტით განსაზღვრული საერთო კრებისა და კონსულტაციის გამართვისათვის აუცილებელი მოთხოვნები. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ყველა შეხვედრას ერქვა კონსულტაცია (ვანის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N2014 ბრძანების დანართი 1), საერთო კრებები ფაქტიურად არ გამართულა. ასევე, დარღვეული იქნა ამავე ბრძანებით დამტკიცებული შეხვედრების გამართვის გრაფიკი. მაგალითად:

- სოფელ ზეინდარში მოსახლეობასთან კონსულტაციის ჩატარების თარიღად ბრძანებით განსაზღვრული იყო 7 თებერვალი. შეხვედრის ოქმიდან ჩანს, რომ კონსულტაცია გაიმართა 13 თებერვალს.

კონსულტაციებზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 141 ინიციატივა.



აღსანიშნავია, რომ მოსახლეობასთან გამართულ კონსულტაციებზე განხილული 141 საპროექტო წინადადებიდან ყველა ინიციატივის განხორციელება დადებითად გადაწყდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ შეხვედრებზე საგნობრივი განხილვა ფაქტიურად არ მიმდინარეობდა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირებს მხოლოდ ის ინიციატივები გამოჰქონდათ განსახილველად, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი. მაგალითად:

- 2019 წლის 6 თებერვალს, სოფელ გორაში გამართულ კონსულტაციაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 8 საპროექტო წინადადება. ოქმში მითითებულია, რომ ყველა საკითხი დადებითად გადაწყდა და დამსწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 107 ამომრჩევლიდან 107-ვეადამიანმა მისცა ყველა საკითხს ხმა.

- 2019 წლის 6 თებერვალს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში (სავარაუდოდ სოფელ იმერუხუთში) გამართულ კონსულტაციას ესწრებოდა 45 ადამიანი. განსახილველად გამოტანილი იყო 6 საკითხი და ყველა მათგანმა მიიღო დამსწრეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, 45 ხმა.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის დადგენილი სავალდებულო რეგულაციების დარღვევასთან ერთად, გამოვლინდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 852-ე მუხლის დარღვევის ფაქტებიც. მაგალითად:

- სოფელ ტყელვანში 2019 წლის 21 ოქტომბერს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გაიმართა სოფლის საერთო კრება, რომლის ძირითადი განსახილველი საკითხი იყო 4 თებერვალს

შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების ცვლილება. აღნიშნული ახსნილი იყო სამუშაოთა შემსრულებელი შ.პ.ს. „არტ გრუპის“ მიერ თანხების არასაკმარისობის გამო სამუშაოთა შეუსრულებლობით. ასევე, ოქმში აღნიშნულია, რომ კრებას ესწრებოდა 21 ადამიანი, თუმცა ოქმის დანართს ხელს აწერს 18 ადამიანი.

9. **საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება**

ვანის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების სხდომის შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია საერთო კრების გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რაოდენობა, განხილული საკითხი, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ყველა ოქმს თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები.

10. **შესყიდვები**

ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით.

კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე რამდენიმე შემთხვევაში განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

11. **შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი**

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: სალხინო, სულორი, ციხესუბანი. შერჩეული პროექტების ძირითადი ნაწილი განხორციელებულია. სოფლებში სალხინო და სულორი რამდენიმე პროექტისათვის შეძენილი იქნა მასალები, სამუშაოები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ დღემდე სამუშაოები დასრულებული არაა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 134 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 94 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ასორმოცდაათამდე განხორციელებული პროექტი მნიშვნელოვნად ზრდის ადმინისტრირების რისკს და შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განხორციელებული პროექტების ეფექტიანობას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი[8]

თერჯოლის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი თერჯოლა. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 357.0 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 35 563 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 99.6 კაცს. თერჯოლის მუნიციპალიტეტში 19 ადმინისტრაციული ერთეულია. მათ შორის 1 ქალაქი, 18 სასოფლო დასახლებებისაგან შემდგარი ადმინისტრაციული ერთეული, რომლებშიც გაერთიანებულია 45 სოფელი. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 86,9% ცხოვრობს სოფლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 345000

[8] თერჯოლის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://terjola.gov.ge/

ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 690000 ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის იანვრის NN4512 და NN4543 ბრძანებებით მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე და მასში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან ერთად მრჩეველთა საბჭოს წევრებიც იყვნენ წარმოდგენილნი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებებისა და კონსულტაციების სხდომები.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია მუნიციპალიტეტის საკუთარ რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 690000 ლარს. თერჯოლის მუნიციპალიტეტმა 10000 ლარით მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება და პროგრამის ფარგლებში სულ მუნიციპალიტეტში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 700000 ლარი.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის მხრიდან წარმოდგენილი იყო 123 საპროექტო ინიციატივა.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

დარღვეული იყო პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი თითქმის ყველა ეტაპზე. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ იძებნება პროცესის მიმდინარეობის შესახებ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცემული არც ერთი აქტი. ვებსაიტზე შესაძლებელია მხოლოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ საკრებულოს განკარგულება და სხვა, ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მოძიება.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

6. **საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების, სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

7. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში

ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები რამდენიმე შემთხვევაში იქნა დარღვეული.

სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 45 შეხვედრა. რამდენიმე შემთხვევაში დარღვეული იყო მთავრობის N654 დადგენილების მე-6 პუნქტით განსაზღვრული საერთო კრებისა და კონსულტაციის გამართვისათვის აუცილებელი მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შეხვედრის დროს განსახილველად წარმოდგენილი წინადადებიდან ყველა ინიციატივის განხორციელება დადებითად გადაწყდა. ასევე, ხშირ შემთხვევაში განსახილველად წარმოდგენილი ინიციატივებიდან მხოლოდ ერთმა ინიციატივამ მიიღო დამსწრეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, სხვა საკითხებისათვის არც ერთ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა. აღნიშნული მიუთითებს, რომ შეხვედრებზე საგნობრივი განხილვა აქტიურად არ მიმდინარეობდა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირებს მხოლოდ ის ინიციატივები გამოჰქონდათ განსახილველად, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი. მაგალითად:

- 2019 წლის 21 იანვარს, სოფელ ზედა ალისუბანში გამართულ კონსულტაციაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 2 საპროექტო წინადადება. ოქმში მითითებულია, რომ ყველა საკითხი დადებითად გადაწყდა და დამსწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 105 ამომრჩევლიდან 105-ვემ მისცა ორივე საკითხს ხმა.

- 2019 წლის 29 იანვარს, ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვედა ალისუბანში გამართულ კონსულტაციას ესწრებოდა 221 ადამიანი. განსახილველად გამოტანილი იყო 4 საკითხი და ყველა მათგანმა მიიღო დასწრეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, 221 ხმა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან გამართული შეხვედრებისას დარღვეული იყო ასევე დასახლების საერთო კრების/კონსულტაციების გამართვის წესი. მაგალითად:

- ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზარნაძეებში დასახლების საერთო კრების ნაცვლად გაიმართა კონსულტაცია. შეხვედრას რეგისტრირებული 336 ამომრჩევლიდან ესწრებოდა 65 ამომრჩეველი. აღნიშნულით დაირღვა როგორც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ასევე საქართველოს მთავრობის N654 დადგენილების მოთხოვნები.

9. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მოსახლეობასთან კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით.

10. შესყიდვები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებების შესყიდვა, საკრებულოს 21.03.2019 წლის N4628 განკარგულების საფუძველზე, ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით.

კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რამდენიმე შემთხვევაში განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

11. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: ქვედა სიმონეთი, ქვედა ალისუბანი, ჯგილათი. სოფელ ქვედა სიმონეთში სამუშაოები შესრულებულია, მათ შორის სავარაუდოდ წყლის სისტემასთან დაკავშირებითაც, მაგრამ სამიზნე უბანში წყალი მოდის პერიოდულად. სხვა სოფლებში შერჩეული პროექტები განხორციელებულია სრულად. შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 118 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 73 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი[9]

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული. მუნიციპალიტეტის ტერიტორია შეადგენს 913.9 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 19 473 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 21.3 კაცს. მუნიციპალიტეტში 79 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 78 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 89,9% ცხოვრობს სოფლად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 430000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 860000 ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N4912 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები და გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების/კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარი)
1.	ბაზალეთი	01.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
2.	ქროლი	01.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
3.	ღარიხევი	01.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
4.	წიფი	01.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
5.	ბორითი	14.02.2019/15:00	კონსულტაცია	8 000
6.	ამაშუკეთი	15.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
7.	ციხისძირი	15.02.2019/18:00	საერთო კრება	5 000
8.	ერეთა	15.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000

[9] ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: https://kharagauli.gov.ge/

9.	ვაშლევი	15.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
10.	კვესრევი	14.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
11.	მაქათუბანი	14.02.2019/13:00	საერთო კრება	6 000
12.	საქასრია	15.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
13.	უბისი	14.02.2019/13:00	საერთო კრება	6 000
14.	ვარძია	25.02.2019/10:00	კონსულტაცია	8 000
15.	ვახანი	21.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
16.	ზედუბანი	21.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
17.	სერბაისი	21.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
18.	ზვარე	25.02.2019/14:00	საერთო კრება	6 000
19.	ნუნისი	25.02.2019/17:30	საერთო კრება	5 000
20.	ჩრდილი	25.02.2019/16:00	საერთო კრება	6 000
21.	კიცხი	08.02.2019/11:00	კონსულტაცია	8 000
22.	ბორი	08.02.2019/13:00	საერთო კრება	6 000
23.	თეთრაწყარო	07.02.2019/17:00	საერთო კრება	6 000
24.	კიცხის იგორეთი	07.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
25.	საქარიქედი	07.02.2019/13:00	საერთო კრება	6 000
26.	ლაშე	06.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
27.	ლაშის იგორეთი	07.02.2019/11:00	საერთო კრება	5 000
28.	უჩამეთი	06.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
29.	ღვერკი	06.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
30.	ხემაღალი	07.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
31.	ლეღვანი	12.02.2019/11:00	კონსულტაცია	8 000
32.	დიდვაკე	12.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
33.	მარელისი	12.02.019/13:00	საერთო კრება	6 000
34.	პატარა სახვლარი	17.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
35.	მოლითი	04.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
36.	ბაბი	05.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
37.	ბეჟათუბანი	04.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
38.	ანეულა	04.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
39.	დეისი	05.02.2019/11:00	საერთო კრება	5 000
40.	ნებოძირი	04.02.2019/13:00	საერთო კრება	6 000
41.	ქვები	05.02.2019/17:00	საერთო კრება	6 000
42.	ჭარტალი	05.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
43.	ნადაბური	22.02.2019/14:00	საერთო კრება	6 000
44.	დიდი გოლისი	22.02.2019/16:00	საერთო კრება	5 000
45.	სარგვეში	11.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
46.	საბე	11.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
47.	ხორითი	11.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
48.	მიროწმინდა	11.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
49.	საღანძილე	27.02.2019/15:00	საერთო კრება	6 000

50.	ვანი	28.02.2019/11:00	საერთო კრება	5 000
51.	ზარანი	27.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
52.	სხლითი	28.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
53.	ჩხერი	28.02.2019/15:00	საერთო კრება	6 000
54	ჯაფარაული	28.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
55.	ფარცხნალი	18.02.2019/15:00	საერთო კრება	6 000
56	ახალსოფელი	18.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
57.	ისლარი	18.02.2019/11:00	საერთო კრება	5 000
58.	ღუდუმექეთი	18.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
59.	ღორეშა			
60.	წიფა	19.02.2019/11:00	საერთო კრება	8 000
61.	გოლათუბანი	19.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
62.	გუდათუბანი	19.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
63.	ფონა	19.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
64.	წყალაფორეთი	20.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
65.	ლახუნდარა	20.02.2019/13:00	საერთო კრება	6 000
66.	პატარა ვარძია	20.02.2019/15:00	საერთო კრება	5 000
67.	ჩალხაეთი	20.02.2019/18:00	საერთო კრება	5 000
68.	ხონი	20.02.2019/17:00	საერთო კრება	5 000
69.	ხევი	13.02.2019/17:00	საერთო კრება	6 000
70.	გრიგალათი	13.02.2019/15:00	საერთო კრება	6 000
71.	ციცქიური	13.02.2019/13:00	საერთო კრება	5 000
72.	წაქვა	13.02.2019/11:00	საერთო კრება	6 000
73.	ხიდარი	08.02.2019/16:00	კონსულტაცია	8 000
74.	ხუნევი	26.02.2019/13:00	საერთო კრება	8 000
75.	ბჟინევი	27.02.2019/11:00	საერთო კრება	5 000
76.	გედსამანია	26.02.2019/17:00	საერთო კრება	6 000
77.	ვერტყვილა	26.02.2019/15:00	საერთო კრება	6 000
78.	ვერტყვიჭალა	26.02.2019/11:00	საერთო კრება	8 000

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, პროექტების შერჩევისას, მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია, მუნიციპალიტეტის საკუთარ რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 860000 ლარს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების

თანადაფინანსება და დამატებით გამოყო 64400 ლარი. პროგრამის ფარგლებში სულ მუნიციპალიტეტში გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 924400 ლარი.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არ იყო მერის ბრძანებით გაწერილი დასახლებებში საპროექტო წინადადებების მიწოდების პროცედურები.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

დარღვეული იყო პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი თითქმის ყველა ეტაპზე. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ იძებნება პროცესის მიმდინარეობის შესახებ არც ერთი აქტი, რომელიც მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ იქნა მიღებული. ვებსაიტზე შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მოძიება სიახლეების სახით.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნიციპალიტეტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N4912 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები. სულ გაიმართა 5 კონსულტაცია და 73 საერთო კრება.

6. **საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების საერთო კრებების, სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში ასევე მიეთითა სხდომის დღის წესრიგი. მითითებული იქნა თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების თარიღი და დრო.

7. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. **მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება**

მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებები უმრავლეს შემთხვევაში შემოსულია.

9. **საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის

პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გამართულ 78 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 172 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა დახურული, უმრავლეს შემთხვევაში ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 141 საპროექტო წინადადება.



10. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმებში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. მოწოდებული ოქმების უმრავლესობას თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- წიფას ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წიფაში გამართულ საერთო კრების ოქმში მითითებულია, რომ შეხვედრას დასახლებაში რეგისტრირებული 432 ამომრჩევლიდან ესწრებოდა 87 ამომრჩეველი. ოქმის დანართში სარეგისტრაციო ბლანკს ხელს აწერს მხოლოდ 20 ამომრჩეველი. შესაბამისად, საერთო კრება არ შეიძლებოდა უფლებამოსილად ჩათვლილიყო.

- რამდენიმე დასახლებაში გამართული შეხვედრებისას ერთ განსახილველ საკითხად არის გაერთიანებული რამდენიმე ინიციატივა. მაგალითად, ღორეშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ღორეშაში გამართულ კონსულტაციაზე ერთ განსახილველ საკითხად იყო წარმოდგენილი 10 საპროექტო წინადადება. გაერთიანებულია შემდეგი ინიციატივები: სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, საუბნო გზების მოწესრიგება, წისქვილის სახურავის შეკეთება, პლასტმასის მილების შეძენა, სასაფლაოს შემოღობვა, გარე განათების მოწყობა, კალათბურთის მოედნის მოწყობა, მოსაცდელების რეაბილიტაცია. ოქმიდან ჩანს, რომ საკითხის განხილვა ფაქტიურად არ მომხდარა და ერთ პროექტად გაერთიანებულ 10 წინადადებას შეხვედრაზე დამსწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 157-ივე ამომრჩეველმა მისცა ხმა. მოწოდებულ დოკუმენტში ფიქსირდება 118 ხელმოწერა, 157-ის ნაცვლად.

- სოფელ საქასრიაში გამართული საერთო კრების ოქმში მითითებულია, რომ შეხვედრას დასახლებაში რეგისტრირებული 323 ამომრჩევლიდან ესწრებოდა სავალდებულო მინიმუმი, 65 ამომრჩეველი, თუმცა სარეგისტრაციო ფურცელში ფიქსირდება მხოლოდ 36 ხელმოწერა.

11. შესყიდვები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის მომზადების, მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

12. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მონიტორინგისათვის შერჩეული იქნა სამი სოფელი: ვარძია, წიფა და ხუნევი.

სოფელ ვარძიაში ოქმი შევსებულია დაღვევით მოსახლეობასთან კონსულტაციის ოქმში დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი წიანდადება „ V უბანში სასმელი წყლის მოწყობა“, რომელსაც უწერია რიგით მე-8 ნომერი, ოქმში მითითებულია, რომ აღნიშნული წინადადება არის შერჩეული განსახორციელებლად. განხორციელებული მონიტორინგისას, შერჩეული წინადადება სრულად განხორციელებულია. შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ მოსახლეობასთან კონსულტაციაზე მოსახლეობის მიერ იყო წარმოდგენილი სხვა საჭიროებებიც, რომლებიც ოქმში არ არის ასახული.

სოფელ წიფიში მოსახლეობასთან გამართული საერთო კრების ოქმის მიხედვით შერჩეული სმაუშაოები არ არის სრულად შესრულებული.

სოფელ ხუნევში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეოაბსთან გამართული საერთო კრების ოქმი არ არის მოწოდებული, ამ სოფელში შესრულებულ სამუსოებს ვადგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული პროეტებით, შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩბარების აქტებით. ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით მითითებული სამუშაოები შესრულებულია, შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 147 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 69 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ასორმოცდაათამდე განხორციელებული პროექტი მნიშვნელოვნად ზრდის ადმინისტრირების რისკს და შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განხორციელებული პროექტების ეფექტიანობას.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი[10]

ტყიბულის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ტყიბული. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 478.8 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 20 839 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 43.5 კაცი. მუნიციპალიტეტში 47 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 9 სასოფლო დასახლებებისაგნ შემდგარი ადმინისტრაციული ერთეული, რომლებშიც გაერთიანებულია 46 სოფელი. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 53,1% ცხოვრობს სოფლად.

[10] ტყიბულის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://tkibuli.gov.ge/

ტყიბულის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 266000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 532000 ლარი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N4753 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი. მერის 09.01.2019 წლის N 4756 ბრძანებით განისაზღვრა განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები და გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარი)
1.	მუხურა	04.02 - 1000	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	10000
2.	საწირე	25.01 - 1200	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	8000
3.	ზედუბანი	25.01 - 1530	დასახლების საერთო კრება	5000
4.	ძიროვანი	25.01 - 1400	დასახლების საერთო კრება	6000
5.	დაბაძველი	25.01 - 1700	დასახლების საერთო კრება	6000
6.	ახალსოფელი	28.01 - 1300	დასახლების საერთო კრება	6000
7.	სამტრედია	28.01 - 1200	დასახლების საერთო კრება	6000
8.	ბზიაური	28.01 - 1500	დასახლების საერთო კრება	5000
9.	ხრესილი	29.01 - 1200	დასახლების საერთო კრება	6000
10.	ბუეთი	30.01 - 1200	დასახლების საერთო კრება	5000
11.	ძუყნური	30.01 - 1600	დასახლების საერთო კრება	5000
12.	ლეღვა	30.01 - 1400	დასახლების საერთო კრება	5000
13.	ივანეული	30.01 - 1500	დასახლების საერთო კრება	5000
14.	ახალდაბა	29.01 - 1400	დასახლების საერთო კრება	5000
15.	გადმოღმა წყალწითელა	29.01 - 1600	დასახლების საერთო კრება	5000
16.	გადაღმა წყალწითელა	29.01 - 1500	დასახლების საერთო კრება	5000
17.	ცუცხვათი	07.02 - 1200	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	8000
18.	სოჩხეთი	08.02 - 1600	დასახლების საერთო კრება	6000
19.	წყნორი	08.02 - 1400	დასახლების საერთო კრება	6000
20.	ძმუისი	08.02 - 1200	დასახლების საერთო კრება	5000
21.	გურნა	11.02 - 1400	დასახლების საერთო კრება	8000
22.	კისორეთი	11.02 - 1200	დასახლების საერთო კრება	5000
23.	ციხია	12.02 - 1600	დასახლების საერთო კრება	5000

24.	ბობოთი	12.02 - 1400	დასახლების საერთო კრება	5000
25.	კითხიჯი	12.02 - 1200	დასახლების საერთო კრება	5000
26.	ანტორია	11.02 - 1700	დასახლების საერთო კრება	5000
27.	ნაძვა	12.02 - 1700	დასახლების საერთო კრება	5000
28.	კორეეთი	12.02 - 1500	დასახლების საერთო კრება	5000
29.	ჯვარისა	06.02 - 1600	დასახლების საერთო კრება	6000
30.	ხორჩანა	06.02 - 1500	დასახლების საერთო კრება	5000
31.	ოჯოლა	06.02 - 1200	დასახლების საერთო კრება	5000
32.	ლაშია	06.02 - 1400	დასახლების საერთო კრება	5000
33.	ლეყერეთი	06.02 - 1100	დასახლების საერთო კრება	5000
34.	ორპირი	01.02 - 1700	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	8000
35.	ზედა ჭყეპი	31.01 - 1600	დასახლების საერთო კრება	5000

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 532000 ლარს. ტყიბულის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მოქალაქეებს ჰქონდათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათ წინადადებების წარმოდგენა შეეძლოთ 2019 წლის 9 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით. მოსახლეობის მხრიდან წარმოდგენილი იქნა 104 ინიციატივა.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ნაწილობრივ იყო დარღვეული სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე იძებნება ინფორმაცია მერის ბრძანებებისა და დასახლებებში გამართული შეხვედრების შესახებ.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 09.01.2019 წლის N4756 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები. სულ გაიმართა 5 კონსულტაცია და 41 საერთო კრება.

6. **საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების საერთო კრებების, სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში ასევე მიეთითა სხდომის დღის წესრიგი, მითითებული იქნა თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების, სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

7. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. **მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება**

მოსახლეობისაგან მიღებული იქნა 104 საპროექტო წინადადება.

9. **საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები**

ტყიბულის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 46 შეხვედრა. მათ შორის 5 კონსულტაცია და 41 საერთო კრება.

სულ მუნიციპალიტეტში გამართულ 46 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 123 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა დახურული, უმრავლეს შემთხვევაში ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 91 საპროექტო წინადადება.



10. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ყველა ოქმს თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- ჯვარისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარისაში გამართულ საერთო კრებაზე განსახილველად გამოტანილი იყო 5 საპროექტო ინიციატივა. ყველა ინიციატივის განხორციელება გადაწყდა დადებითად და მათ ხმა მისცა შეხვედრაზე დასწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 65-ვე ამომრჩეველმა. ანალოგიური სიტუაციაა ჯვარისის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ 5-ვე შეხვედრაზე.

- ხრესილის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხრესილში გამართულ საერთო კრებაზე განსახილველად გამოტანილი სამი საკითხიდან სამივემ მიიღო შეხვედრაზე დასწრე ამომარჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის - 58 ამომრჩევლის ხმა. მიუხედავად აღნიშნულისა, ოქმში მითითებულია, რომ გამარჯვებულად გამოვლინდა მხოლოდ ორი ინიციატივა, მესამე საპროექტო წინადადება კი განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ხმათა უმრავლესობით ცნობილი ინიციატივის განხორციელებას რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვდება.

- წარმოდგენილი ოქმების დიდ ნაწილში განსახილველად წარმოდგენილი ყველა ინიციატივის განხორციელება გადაწყდა დადებითად. აღნიშნული მიუთითებს, რომ უფლებამოსილ პირებს განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ ის საკითხები, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი და შეხვედრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

11. შესყიდვები

ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22.03.2019 წლის N4821 განკარგულებით. განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის მომზადების, მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად, გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

12. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: კურსები, ორპირი, გადაღმა წყალწითელა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტები განხორციელებულია. მოწოდებული დოკუმენტაციის გადამოწმებით ირკვევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამუშაოები დაგეგმილთან შედარებით სავარაუდოდ დაგვიანებით ჩაბარდა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 97 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება.

ხონის მუნიციპალიტეტი[11]

ხონის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ხონი. ხონის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 428.5 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 23 570 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 55.0 კაცს. მუნიციპალიტეტში 40 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 11 სასოფლო დასახლებებისაგნ შემდგარი ადმინისტრაციული ერთეული, რომლებშიც გაერთიანებულია 39 სოფელი. ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 61,9% ცხოვრობს სოფლად.

ხონის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 235000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 470000 ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N3916 ბრძანებით, დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი. მერის 08.01.2019 წლის N 3921 ბრძანებით განისაზღვრა განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის, ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები და გადაწყვეტილების მიღების ფორმა.

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის განმართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	დიდი გუბი	15 იანვარი 12 საათი	კონსულტაცია	8 000
2	შუა გუბი	18 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
3	პატარა გუბი	18 იანვარი 12 საათი	საერთო კრების	5 000

[11] ხონის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://khoni.gov.ge/ge

			სხდომა	
4	გოჩა–ჯიხაიში	15 იანვარი 15 საათი	კონსულტაცია	8 000
5	დიდი კუხი	15 იანვარი 12 საათი	კონსულტაცია	10 000
6	პატარა კუხი	17 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	8 000
7	ახალშენი	18 იანვარი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	8 000
8	ქუტირი	17 იანვარი 12 საათი	კონსულტაცია	8 000
9	გვაზაური	17 იანვარი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
10	პატარა ჯიხაიში	17 იანვარი 16 საათი	კონსულტაცია	8 000
11	ივანდიდი	18 იანვარი 12 საათი	კონსულტაცია	10 000
12	მათხოჯი	29 იანვარი 12 საათი	კონსულტაცია	10 000
13	ლეფილე	29 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
14	სუხჩა	29 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
15	ხიდი	29 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
16	ნახახულევი	21 იანვარი 14 საათი	კონსულტაცია	8 000
17	კონტუათი	21 იანვარი 14 საათი	კონსულტაცია	8 000
18	ახალბედისეული	21 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
19	საწულუკიძეო	21 იანვარი 16 საათი	კონსულტაცია	8 000
20	ზედა გორდი	22 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
21	ქვედა გორდი	22 იანვარი 13 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
22	გაღმა ნოღა	22 იანვარი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
23	გამოღმა ნოღა	22 იანვარი 15 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
24	ბანგვეთი	22 იანვარი 17 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
25	ზედა კინჩხა	1 თებერვალი საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
26	ქვედა კინჩხა	1 თბერვალი 13 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
27	კინჩხაფერდი	1 თებერვალი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
28	რონდიში	1 თებერვალი 15 საათი	საერთო კრების	5 000

			სხდომა	
29	საწისქვილო	1 თებერვალი 17 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
30	ძეძილეთი	31 იანვარი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
31	გელავერი	31 იანვარი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
32	გვაშტიბი	31 იანვარი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
33	ღვედი	31 იანვარი 14 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
34	ჩუნეში	16 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
35	დედალაური	16 იანვარი 12 საათი	კონსულტაცია	8 000
36	უძლოური	16 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
37	ბესიაური	16 იანვარი 12 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000

ხონის მუნიციპალიტეტის მერიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას, მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები. არ არის მოწოდებული სოფელ გაღმა ნოღას მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი, არც სავარაუდოდ დასახარჯ თანხებშია ეს სოფელი მითითებული.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 470000 ლარს. ხონის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ჰქონდათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათ წინადადებების წარმოდგენა შეეძლოთ 2019 წლის 8 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით. მოსახლეობის მხრიდან წარმოდგენილი იქნა 123 ინიციატივა.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

ხონის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ნაწილობრივ იყო დარღვეული სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე იძებნება ინფორმაცია მერის ბრძანებებისა და დასახლებებში გამართული შეხვედრების შესახებ.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის

გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ხონის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N3921 ბრძანებით დამტკიცდა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები. სულ გაიმართა 11 კონსულტაცია და 26 საერთო კრება.

6. საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით , დასახლებების საერთო კრებების, სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში ასევე მიეთითა სხდომის დღის წესრიგი, მითითებული იქნა თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

7. მოსახლეობის ინფორმირება

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება

მოსახლეობისაგან მიღებული იქნა 123 საპროექტო წინადადება.

9. საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

ხონის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 37 შეხვედრა. მათ შორის 11 კონსულტაცია და 26 საერთო კრება.

სულ მუნიციპალიტეტში გამართულ 37 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 123 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა დახურული, უმრავლეს შემთხვევაში ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 91 საპროექტო წინადადება.



10. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

ხონის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმებში მითითებულია რამდენი კაცი და რამდენი ქალი ესწრებოდა შეხვედრას, რაც მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერული საკითხებისადმი სწორ მიდგომებზე მეტყველებს. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ გუბში გამართულ კონსულტაციაზე განსახილველად გამოტანილი ორი საკითხიდან ორივემ მიიღო შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის - 101 ამომრჩევლის ხმა. დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველთა რაოდენობიდან - 793 გამომდინარე, შეხვედრის უფლებამოსილად ცნობისათვის საჭირო იყო 100-ზე მეტი ამომრჩევლის დასწრება. შეხვედრას ზუსტად სავალდებულო მინიმუმი, 101 ამომრჩეველი ესწრებოდა და ღია კენჭისყრის შედეგად ყველა მათგანმა ხმა მისცა განსახილველ ორივე საკითხს.

მსგავსი სიტუაციაა სხვა შემთხვევებშიც - წარმოდგენილი ოქმების დიდ ნაწილში განსახილველად წარმოდგენილი ყველა ინიციატივის განხორციელება გადაწყდა დადებითად. აღნიშნული მიუთითებს, რომ უფლებამოსილ პირებს განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ ის საკითხები, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი და შეხვედრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

11. შესყიდვები

ხონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20.02.2019 წლის N4013 განკარგულებით. განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების, მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად, გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

12. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: ივანდიდი, საწულუკიძეო, უძილოური. ივანდიდსა და უძილოურში შერჩეული პროექტები განხორციელებულია. შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. სოფელ საწულუკიძეოში მოსახლეობასთან კონსულტაციის ოქმში განსახორციელებლად შერჩეულია 5 წინადადება. 5-დან 4 წინადადება არის განხორციელებული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ ხონის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 44 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი[12]

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი წყალტუბო. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 700.1 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 56 883 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 81.2 კაცს. წყალტუბოში 43 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 42 სოფელი, რომლებიც ერთიანდებიან 17 ადმინისტრაციულ ერთეულში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 70,2% ცხოვრობს სოფლად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 352000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 704000 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N3722 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 704000 ლარს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება.

3. **პროცესის გამჭვირვალობა**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დარღვეული იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ იძებნება ინფორმაცია მერის ბრძანებების, დასახლებებში გამართული შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ.

[12] წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://tskaltubo.gov.ge/

4. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საჯარო ინფორმაციის სახით მუნიციპალიტეტის მიერ არ არის წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, ინფორმაცია ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

5. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

6. **მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება**

საერთო კრებების/კონსულტაციების გამართვამდე მოსახლეობისაგან საპროექტო წინადადების მიღება არ განხორციელებულა.

7. **საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 42 შეხვედრა. მათ შორის 20 კონსულტაცია და 22 საერთო კრება.

სულ მუნიციპალიტეტში გამართულ 42 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 103 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა ფარული, რამდენიმე შემთხვევაში ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 73 საპროექტო წინადადება.



8. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- სოფელ ოფშკვითში გამართულ კონსულტაციას ესწრებოდა 221 ამომრჩეველი. განსახილველად გამოტანილი იყო მხოლოდ ერთი - გარე განათების მოწყობის საკითხი. გაიმართა ღია კენჭისყრა და დამსწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა განსახილველ საკითხს.

- სოფელ ნამოხვანში გამართულ საერთო კრებას ესწრებოდა 29 ამომრჩეველი. განსახილველად გამოტანილი იყო სამი საკითხი. რადგანაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, მოსახლეობის მხრიდან საპროექტო ინიციატივების წინასწარ წარმოდგენა არ მომხდარა, სავარაუდოდ ადგილზევე მოხდა საკითხების ინიცირება. მიუხედავად აღნიშნულისა, სამიდან ორმა ინიციატივამ 0 ხმა მიიღო, მხოლოდ მესამე ინიციატივის განხორციელებას მისცა ხმა დასწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 29-ვე ამომრჩეველმა.

- სოფელ ოფურჩხეთში გამართულ კონსულტაციას ესწრებოდა 108 ამომრჩეველი. განსახილველად გამოტანილი იყო 6 საკითხი. ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად ხმები ყველა ინიციატივაზე გადანაწილდა და გამარჯვებულად გამოცხადდა გარე განათების მოწყობის შესახებ საპროექტო წინადადება, რომელმაც საერთო ხმების ნახევარზე ნაკლები - 49 ხმა მიიღო.

წარმოდგენილი ოქმების დიდ ნაწილში განსახილველად წარმოდგენილი ყველა ინიციატივის განხორციელება გადაწყდა დადებითად. აღნიშნული მიუთითებს, რომ უფლებამოსილ პირებს განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ ის საკითხები, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი და შეხვედრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

9. შესყიდვები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22.02.2019 წლის N3631, 23.04.2019 წლის N3666 და 31.05.2019 წლის N3686 განკარგულებებით. განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების, მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად, გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

10. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: ფარცხანაყანევი, ბენთქოულა, გუმბრა. შერჩეული პროექტები განხორციელებულია. შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 52 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 2 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი[13]

სამტრედიის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სამტრედია. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 364.1 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 48 562 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 133.4 კაცს. სამტრედიაში 56 დასახლებაა: 1 ქალაქი, 1 დაბა და 56 სოფელი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 44.4% ცხოვრობს სოფლად.

სამტრედიის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 330000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 660000 ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N3722 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი. მერის 09.01.2019 წლის N 4756 ბრძანებით განისაზღვრა განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და მომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის, ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები და გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

№	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის განმართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	დაბა კულაში	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	10 000
2	სოფელი დიდი ჯიხაიში	2019 წლის 25 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	10 000
3	სოფელი იანეთი	2019 წლის 25 თებერვალი. 14:00 საათი	კონსულტაცია	10 000
4	სოფელი ბაში	2019 წლის 25 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	10 000
5	სოფელი გორმაღალი	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	8 000
6	სოფელი გამოჩინებული	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
7	სოფელი ახალსოფელი	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	8 000
8	სოფელი გვიმრალა	2019 წლის 25 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების	6 000

[13] სამტრედიის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი: http://samtredia.gov.ge/ge

			სხდომა	
9	სოფელი კეჭინარი	2019 წლის 26 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
10	სოფელი ოჭოფა	2019 წლის 25 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
11	სოფელი პატარა ეწერი	2019 წლის 28 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
12	სოფელი ჯიქთუბანი	2019 წლის 28 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
13	სოფელი მელაური	2019 წლის 21 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
14	სოფელი მიწაბოგირა	2019 წლის 21 თებერვალი. 14:00 საათი	კონსულტაცია	8 000
15	სოფელი ხიბლარი	2019 წლის 28 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	8 000
16	სოფელი ღანირი	2019 წლის 21 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	10 000
17	სოფელი ჭაგანი	2019 წლის 21 თებერვალი. 15:00 საათი	კონსულტაცია	8 000
18	სოფელი კვირიკე	2019 წლის 20 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
19	სოფელი ნაბაკევი	2019 წლის 20 თებერვალი. 14:00 საათი	კონსულტაცია	8 000
20	სოფელი ნინუაკუთხე	2019 წლის 28 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	8 000
21	სოფელი ჩხენიში	2019 წლის 22 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	8 000
22	სოფელი ხუნჯულაური	2019 წლის 22 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
23	სოფელი გომმუხაყრუა	2019 წლის 20 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
24	სოფელი გომნატეხები	2019 წლის 20 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000

25	სოფელი დაბლა გომი	2019 წლის 28 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	8 000
26	სოფელი დაბლა ეწერი	2019 წლის 27 თებერვალი. 13:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
27	სოფელი დაფნარი	2019 წლის 27 თებერვალი. 15:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
28	სოფელი დობირო	2019 წლის 28 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
29	სოფელი ზედა ეწერი	2019 წლის 27 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
30	სოფელი კეთილაური	2019 წლის 22 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
31	სოფელი კორმაღალი	2019 წლის 26 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
32	სოფელი მთის ძირი	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	კონსულტაცია	8 000
33	სოფელი ცივწყალა	2019 წლის 22 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
34	სოფელი პირველი ნიგორზღვა	2019 წლის 27 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
35	სოფელი პირველი ნიგორზღვა	2019 წლის 27 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
36	სოფელი საჯავახო	2019 წლის 26 თებერვალი. 14:00 საათი	კონსულტაცია	8 000
37	სოფელი ჭოგნარი	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
38	სოფელი დიდი ოფეთი	2019 წლის 27 თებერვალი. 15:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
39	სოფელი პატარა ოფეთი	2019 წლის 27 თებერვალი. 13:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000

40	სოფელი ნაწილი ოფეთი	2019 წლის 27 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
41	სოფელი მტერჩვეული	2019 წლის 26 თებერვალი. 15:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
42	სოფელი წიაღუბანი	2019 წლის 26 თებერვალი. 13:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
43	სოფელი თხილაგანი	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
44	სოფელი ბუღნარა	2019 წლის 25 თებერვალი. 16:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
45	სოფელი ვაზისუბანი	2019 წლის 25 თებერვალი. 14:00 საათი	კონსულტაცია	8 000
46	სოფელი ზემო ნოღა	2019 წლის 27 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
47	სოფელი ქვემო ნოღა	2019 წლის 27 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	6 000
48	სოფელი ტოლები	2019 წლის 26 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
49	სოფელი ზემო ტოლები	2019 წლის 26 თებერვალი. 14:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000
50	სოფელი ქორეისუბანი	2019 წლის 25 თებერვალი. 12:00 საათი	საერთო კრების სხდომა	5 000

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია, მუნიციპალიტეტის საკუთარ

რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 660000 ლარს. სამტრედიის მუნიციპალიტეტმა მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება 50000 ლარით. პროგრამის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 710000, რაც იმერეთის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ჰქონდათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათ წინადადებების წარმოდგენა შეეძლოთ 2019 წლის 9 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით. მოსახლეობის მხრიდან წარმოდგენილი იქნა 93 ინიციატივა.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

სამტრედიიის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დარღვეული იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე არ იძებნება ინფორმაცია მერის ბრძანებების, დასახლებებში გამართული შეხვედრებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესახებ .

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 08.01.2019 წლის N3728 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების, საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები. სულ გაიმართა 16 კონსულტაცია და 34 საერთო კრება.

6. **საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების, საერთო კრებების სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში ასევე მიეთითა თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

7. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. **მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება**

მოსახლეობისაგან მიღებული იქნა 93 საპროექტო წინადადება.

9. საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

სამტრედიის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 50 შეხვედრა. მათ შორის 16 კონსულტაცია და 34 საერთო კრება.

სულ მუნიციპალიტეტში გამართულ 50 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 93 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა მხოლოდ ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 59 საპროექტო წინადადება.



10. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ყველა ოქმს თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- 14 თებერვალს სოფელ ხიბლარში გამართულ მოსახლეობასთან კონსულტაციას 618 რეგისტრირებული ამომრჩევლიდან ესწრებოდა 100 ამომრჩეველი. განსახილველად გამოტანილი იყო სამი საკითხი. ღია კენჭისყრის შედეგად სამივე საკითხმა მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა - 100 ამომრჩევლის ხმა. მსგავსი სიტუაციაა სოფლებში მელაური, დიდი ჯიხაიში, გვიმრალა, კულაშში, სადაც განსახილველად გამოტანილმა ყველა საკითხმა მიიღო დამსწრეთა ყველა ხმა.

- 6 თებერვალს სოფელ ღანირში გამართულ მოსახლეობასთან კონსულტაციას 1010 რეგისტრირებული ამომრჩევლიდან ესწრებოდა 205 ამომრჩეველი. განსახილველად გამოტანილი იყო სამი საკითხი. სამიდან ორმა საკითხმა - ადმინისტრაციული შენობისათვის სველი წერტილების მოწყობამ და სოფლის ორ უბანში გარე განათების მოწყობამ მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა 205 ხმა. განსახილველად გამოტანილმა მესამე საკითხმა - სანიაღვრე არხების გაწმენდამ კი მიიღო 0 ხმა.

წარმოდგენილი ოქმების დიდ ნაწილში განსახილველად წარმოდგენილი ყველა ინიციატივის დადებითად გადაწყვეტა მიუთითებს, რომ უფლებამოსილ პირებს განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ ის საკითხები, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი და შეხვედრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

11. შესყიდვები

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18.03.2019 წლის N3849, 02.09.2019 წლის N38125 და 26.12.2019 წლის N38229 განკარგულებებით. განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად, გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

12. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: დიდი ჯიხაიში, დაბა კულაში, თხილაგანი. შერჩეული პროექტები განხორციელებულია. შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 79 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 29 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა, რაც იმერეთის მასშტაბით ერთე-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში, იმერეთის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ზესტაფონი. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 423.7 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 57 628 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 136.0 კაცს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 50 სოფელია. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 63,9% ცხოვრობს სოფლად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 411000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 842000 ლარი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები.

2. **პროცესის გამჭვირვალობა**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დარღვეული იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის ვებსაიტი საერთოდ არ ფუნქციონირებს. ასევე, მოწოდებული დოკუმენტაციით შეუძლებელია დაზუსტება, ინფორმაციის გავრცელების რა ხერხი გამოიყენა მუნიციპალიტეტმა და რამდენად ეფექტური იყო მათი ძალისხმევა ამ კუთხით.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ჰქონდათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.

4. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

5. **მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება**

მოსახლეობისაგან მიღებული იქნა 139 საპროექტო წინადადება.

6. **საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 61 შეხვედრა. მათ შორის 20 კონსულტაცია და 41 საერთო კრება.

სულ მუნიციპალიტეტში გამართულ 61 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 139 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 127 საპროექტო წინადადება.



7. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმებში მითითებულია რამდენი კაცი და რამდენი ქალი ესწრებოდა შეხვედრას, რაც მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერული საკითხებისადმი სწორ მიდგომებზე მეტყველებს. ოქმების უმრავლესობას თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან შეხვედრებზე განსახილველად გამოტანილი 139 საპროექტო ინიციატივიდან უარყოფითად გადაწყდა მხოლოდ 12 საკითხი. მაგალითად, დაბა შორაპანში (ესწრებოდა 208 ამომრჩეველი), ქვედა საქარაში (ესწრებოდა 207 ამომრჩეველი), ჭალატყეში (ესწრებოდა 109 ამომრჩეველი), არგვეთაში (ესწრებოდა 210 ამომრჩეველი), ფუთში (ესწრებოდა 210 ამომრჩეველი), პირველ სვირში (ესწრებოდა 206 ამომრჩეველი), მეორე სვირში (ესწრებოდა 205 ამომრჩეველი) გამართულ კონსულტაციებზე განსახილველად გამოტანილი იყო თითოეულ შეხვედრაზე 5-7 საკითხი და ყველა საკითხმა მიიღო დამსწრე ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

- მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში წარმოდგენილია დაბა შორაპანში გამართული მოსახლეობასთან კონსულტაციის ორი ოქმი, რომლებიც თარიღდება 30 იანვრით და მითითებულია, რომ შეხვედრებს ადამიანთა ერთი და იგივე რაოდენობა - 208 ამომრჩეველი ესწრებოდა. პირობითად პირველ ოქმში შეხვედრაზე განსახილველად გამოტანილი იყო 5 საკითხი, მეორე ოქმის მიხედვით 1 საკითხი. ორივე ოქმში დაფიქსირებულია, რომ ყველა მათგანის განხორციელება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყდა.

მოწოდებული ინფრომაციის მიხედვით განხორციელდა პირობითად პირველ ოქმის მიხედვით შერჩეული 5-დან 3 საპროექტო წინადადება.

- მოწოდებული ინფრომაციის მიხედვით, სოფელ ზოვრეთში მოსახლეობასთან 2-ჯერ გაიმართა კონსულტაცია, მოწოდებულია შესაბამისი 2 ოქმი, ორივე შეხვედრა გაიმართა ერთსა და იმავე დღეს - 25 იანვარს. პირობითად პირველი ოქმის მიხედვით კონსულტაციას ესწრებოდა 208 პირი, განსახილველად წარმოდგენილი იყო 3 საკითხი, სამივე დადებითად გადაწყდა დამსწრე მოსახლეობის აბსოლუტური მხარდაჭერით.

მეორე ოქმის მიხედვით, კონსულტაციას ესწრებოდა 205 ამომრჩეველი, განსახილველად წარმოდგენილი იყო 3 საკითხი, სამიდან პირველი საკითხი შეირჩა ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერით.

მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ განხორციელდა პირველი ოქმით გადაწყვეტილი სამი საპროექტო ინიციატივა.

- სოფელ დილიკაურში 1 თებერვალს გამართულ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრას 210 ამომრჩეველი ესწრებოდა. განსახილველად გამოტანილი იყო ორი საკითხი: სოფლის საექიმო ამბულატორიისა და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. პირველმა საკითხმა - ამბულატორიის რეაბილიტაციამ მიიღო 0 ხმა, ხოლო ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის საპროექტო ინიციატივამ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა 210 ხმა. უცნაურია, რომ პირველ საკითხს სავარაუდოდ ინიციატივის ავტორმაც არ მისცა ხმა.

წარმოდგენილი ოქმების უმრავლესობაში განსახილველად წარმოდგენილი ყველა ინიციატივის განხორციელება გადაწყდა დადებითად. აღნიშნული მიუთითებს, რომ უფლებამოსილ პირებს განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ ის საკითხები, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი და შეხვედრებსა და ხმის მიცემას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

8. შესყიდვები

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

9. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: მეორე სვირში სამუშაოები შესრულებულია, თუმცა წყლის ავზი დგას სხვა უბანში, ვიდრე მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმშია მითითებული. ოქმში მე-6 წინადადებად მითითებულია მშვილდაძეების უბანში 5 ტონიანი ავზის შეძენა, ხოლო საკრებულოს მოწონებულ პროექტების ნუსხაში წერია ლომინაშვილების უბანში 5 ტონიანი ავზისა და წყლის 63 მ.მ. 200 მ. მილების შეძენა. რეალურად წყლის სისტემის 2 ავზი დგას ცხადაძეების უბანში. დილიკაურსა და პატარა სამებაში შერჩეული პროექტები განხორციელებულია. შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 194 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 125 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ორასამდე განხორციელებული პროექტი მნიშვნელოვნად ზრდის ადმინისტრირების რისკს და შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განხორციელებული პროექტების ეფექტიანობას.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

ჭიათურის მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის რეგიონში. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 540.0 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 39 884 კაცს, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კილომეტრზე 73,5 ადამიანია. ჭიათურის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 15 ადმინისტრაციული ერთეულია, რომლებშიც გაერთიანებულია 60 სასოფლო დასახლებული პუნქტი. სოფლის მოსახლეობა შეადგენს მოსახლეობის 67%-ზე მეტს.

ჭიათურის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად პირველ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 22.01.2019 წლის N45 განკარგულებით გამოეყო 406000 ლარი, ხოლო მე-2 ეტაპზე, საქართველოს მთავრობის 08.02.2019 წლის N208 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 812000 ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის 04.01.2019 წლის N515 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი. მერის 09.01.2019 წლის N5115 ბრძანებით განისაზღვრა განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები.

ბრძანებით განისაზღვრა საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო, ასევე თითოეული დასახლებისათვის გამოყოფილი თანხები და გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

№	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარი)
1	გეზრული	15.02.2019 / 16:30	საერთო კრება	6000
2	ვაჭევი	30.01.2019 / 16:30	საერთო კრება	6000
3	მელუშეეთი	30.01.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
4	ღვითორი	30.01.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
5	ჯოლხეეთი	30.01.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
6	ზოდი	08.02.2019 / 16:30	კონსულტაცია	10000
7	დარკვეთი	07.02.2019 / 16:30	კონსულტაცია	8000
8	ზედუბანი	07.02.2019 / 11:30	საერთო კრება	6000
9	მოხოროთუბანი	07.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
10	ითხვისი	12.02.2019 / 16:30	კონსულტაცია	10000
11	ბეგიაური	12.02.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
12	ბჟინევი	12.02.2019 / 14:00	კონსულტაცია	8000
13	კაცხი	18.02.2019 / 14:00	საერთო კრება	8000
14	დიდი კაცხი	19.02.2019 / 11:30	კონსულტაცია	8000
15	ეწერი	18.02.2019 / 11:30	საერთო კრება	8000
16	მორძგვეთი	19.02.2019 / 16:30	საერთო კრება	6000
17	ნავარძეთი	18.02.2019 / 16:30	კონსულტაცია	8000
18	სალიეთი	19.02.2019 / 14:00	საერთო კრება	6000
19	ჯოყოეთი	19.02.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
20	მანდაეთი	14.02.2019 / 15:00	კონსულტაცია	8000
21	მეჩხეთური	14.02.2019 / 12:00	საერთო კრება	6000
22	ჩხირაული	15.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
23	ტყემლოვანა	15.02.2019 / 11:30	კონსულტაცია	8000
24	ქბილარი	14.02.2019 / 12:00	საერთო კრება	5000
25	ნიგოზეთი	24.01.2019 / 15:00	საერთო კრება	8000
26	გუნდაეთი	21.02.2019 / 11:30	საერთო კრება	6000
27	ზედა ბერეთისა	25.01.2019 / 11:30	საერთო კრება	6000
28	მერევი	21.02.2019 / 14:00	საერთო კრება	6000
29	უსახელო	24.01.2019 / 12:00	კონსულტაცია	8000

30	ქვედა ბერეთისა	25.01.2019 / 14:00	საერთო კრება	8000
31	წასრი	21.02.2019 / 16:30	საერთო კრება	6000
32	წყალშავი	25.01.2019 / 16:30	საერთო კრება	6000
33	პერევისა	01.02.2019 / 14:00	კონსულტაცია	8000
34	კალაური	01.02.2019 / 11:30	საერთო კრება	6000
35	სკინდორი	31.01.2019 / 11:30	საერთო კრება	8000
36	შუქრუთი	01.02.2019 / 16:30	კონსულტაცია	8000
37	წინსოფელი	31.01.2019 / 16:30	საერთო კრება	6000
38	ჭილოვანი	31.01.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
39	რგანი	20.02.2019 / 15:00	კონსულტაცია	10000
40	სარქველეთუბანი	05.02.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
41	ბუნიკაური	05.02.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
42	ზედა რგანი	05.02.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
43	თაბაგრები	05.02.2019 / 14:00	კონსულტაცია	8000
44	სვერი	13.02.2019 / 16:30	კონსულტაცია	8000
45	თვალუეთი	13.02.2019 / 11:30	საერთო კრება	6000
46	ცხრუკვეთი	13.02.2019 / 14:00	საერთო კრება	6000
47	ქვაციხე	29.01.2019 / 11:30	საერთო კრება	8000
48	ბიღა	29.01.2019 / 14:00	საერთო კრება	6000
49	რცხილათი	29.01.2019 / 16:30	საერთო კრება	8000
50	საკურწე	29.01.2019 / 11:30	საერთო კრება	8000
51	წირქვალი	06.02.2019 / 14:00	კონსულტაცია	8000
52	მღვიმევი	06.02.2019 / 16:30	კონსულტაცია	8000
53	ქვედა ჭალოვანი	06.02.2019 / 11:30	კონსულტაცია	8000
54	ხალიფაური	05.02.2019 / 16:30	საერთო კრება	8000
55	ხვაშითი	08.02.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
56	ვაკევისა	08.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
57	ვანი	08.02.2019 / 11:30	საერთო კრება	5000
58	ზედა ჭალოვანი	08.02.2019 / 11:30	საერთო კრება	6000
59	კვახაჯელეთი	08.02.2019 / 14:00	საერთო კრება	5000
60	ხრეითი	20.02.2019 / 12:00	კონსულტაცია	10000

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიდან მოწოდებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაანალიზებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. **გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპი გათვალისწინებული იქნა, რისთვისაც დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები.

2. **მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 812000 ლარს. ჭიათურის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება და პროექტებზე დახარჯული თანხა უცვლელი დატოვა.

3. **მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ჰქონდათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათ წინადადებების წარმოდგენა შეეძლოთ 2019 წლის 9 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით.

4. **პროცესის გამჭვირვალობა**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ნაწილობრივ დარღვეული იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე იძებნება ინფორმაცია მერის ბრძანებებისა და დანართების შესახებ, თუმცა არ დევს დოკუმენტები დასახლებებში გამართული შეხვედრებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესახებ.

5. **მოსამზადებელი სამუშაოები**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის 09.01.2019 წლის N5115 ბრძანებით დამტკიცდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების პროცედურები. სულ გაიმართა 18 კონსულტაცია და 42 საერთო კრება.

6. **საერთო კრებების, სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების, საერთო კრებების სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება მოხდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა განხორციელდა შესაბამისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითა მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს საერთო კრებების სხდომები, ან მოსახლეობასთან კონსულტაციები. ბრძანებაში ასევე მიეთითა თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის საორიენტაციო თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (საერთო კრების სხდომაზე თუ მოსახლეობასთან კონსულტაციით), თითოეული კრების სხდომის/ კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი მერიის სამსახური, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების მდებარეობა, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირების ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

7. **მოსახლეობის ინფორმირება**

მოსახლეობის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ განხორციელდა სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, ძირითადად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ და საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

8. **მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება**

მოსახლეობისაგან საპროექტო წინადადებები არ შემოსულა.

9. **საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები**

ჭიათურის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმები ძირითადად დაცული იქნა.

სულ მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 60 შეხვედრა. მათ შორის 20 კონსულტაცია და 40 საერთო კრება.

სულ მუნიციპალიტეტში გამართულ 60 შეხვედრაზე განსახილველად დაყენებული იყო 323 საკითხი. განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ნაწილობრივ განხორციელდა ღია კენჭისყრით. ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 137 საპროექტო წინადადება.



10. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

ჭიათურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთო კრების/კონსულტაციების სხდომების შესახებ ინფორმაცია და მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა ოქმებით. ოქმში მითითებულია შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ყველა ოქმს თან ერთვის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები. ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე წინააღმდეგობა:

- 24 იანვარს, სოფელ უსახელოში გამართულ მოსახლეობასთან კონსულტაციას დასახლებაში რეგისტრირებული 1114 ამომრჩევლიდან ესწრებოდა 252 ამომრჩეველი. შეხვედრაზე განსახილველად გამოტანილი იყო 3 საკითხი: ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და სპორტული მოედნის შემოღობვა. პირველმა საკითხმა - ამბულატორიის რეაბილიტაციამ მიიღო ხმათა მაქსიმუმი, 251 ხმა, სხვა საკითხებმა კი 0 ხმა. საინტერესოა, რომ საპროექტო ინიციატივების წინასწარ წარმოდგენა არ მომხდარა, სავარაუდოდ, შეხვედრაზევე მოხდა მათი ინიცირება და ინიციატივების ავტორებმაც არ მისცეს საკითხებს ხმა. მსგავსი სიტუაციაა 24 იანვარს სოფელ ნიგოზეთში გამართულ მოსახლეობასთან კონსულტაციისა და სხვა რამდენიმე დასახლების შემთხვევაში.

- 20 თებერვალს, სოფელ ხრეითში გამართულ მოსახლეობასთან კონსულტაციას ესწრებოდა 205 ამომრჩეველი. განსახილველად გამოტანილი იყო ორი საკითხი: მთის გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა) და ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ოქმში მითითებულია, რომ ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი საკითხი - 97 მომხრე და 108 წინააღმდეგი, მეორე საკითხი 36 მომხრე და 169 წინააღმდეგი. გამარჯვებულად გამოცხადდა პირველი საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინიციატივამაც კონსულტაციაზე დამსწრეთა უმრავლესობის ხმა ვერ მიიღო. ასევე, საინტერესოა, რომ შეხვედრას 205 ამომრჩეველი ესწრებოდა, პირველ ინიციატივას კი ხმა დადებითად ან უარყოფითად 206 ადამიანმა მისცა..

- 1 თებერვალს, სოფელ შუქრუთში გამართულ მოსახლეობასთან კონსულტაციას ესწრებოდა 105 ამომრჩეველი. განსახილველად გამოტანილი იყო სამი ინიციატივა. მიღებული ხმები

ინიციატივების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა - 8 ხმა, საბავშვო ბაღისათვის სპორტული დარბაზის მოწყობა - 31 ხმა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მშენებლობა- 45 ხმა. შეხვედრაზე გადაწყდა მესამე ინიციატივის განხორციელება.მიუხედავად იმისა, რომ მან დამსწრეთა ხმების უმრავლესობა ვერ მოიპოვა.

ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობები გვხვდება წარმოდგენილი ოქმების დიდ ნაწილში. აღნიშნული მიუთითებს, რომ უფლებამოსილი პირების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრები კარგად არ იყო მომზადებული. რიგ შემთხვევებში, განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ ის საკითხები, რომელთა განხორციელებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი, შეხვედრებსა და ხმის მიცემას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

11. შესყიდვები

ჭიათურის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.03.2019 წლის N5215 განკარგულებით. განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის მომზადების, მომსახურებების შესყიდვა ძირითადად განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს მუნიციპალიტეტმა მიმართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების შესრულებას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდებოდა (მაგალითად, გარე განათების, სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა სამუშაოები).

საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ძირითადად განხორციელდა სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მასალების შეძენა. უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ.

12. შერჩეულ სოფლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა წინასწარ შერჩეულ სამ სოფელში: ითხვისი, უსახელო, ვანი. შერჩეული პროექტები განხორციელებულია. შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. სოფელ ითხვისში აშენებულია საექიმო ამბულატორია, რომლის დასრულება - კეთილმოწყობა განხორციელდება მიმდინარე წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სულ ჭიათურის მუნიციპალიტეტში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 71 პროექტი. მუნიციპალიტეტმა მოახდინა პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების ნაწილობრივი თანადაფინანსება, მათ შორის 2 პროექტი მხოლოდ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდა.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მონიტორინგისა და ეფექტიანობის ანალიზმა იმერეთის რეგიონში აჩვენა, რომ:

- 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება იმერეთის 11 თვითმმართველ თემში წარიმართა მნიშვნელოვანი ხარვეზებით. რიგ მუნიციპალიტეტში დარღვეული იქნა პროგრამის განხორციელების ძირითადი დოკუმენტის, საქართველოს მთავრობის #645 დადგენილების მოთხოვნები:
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტებმა მოსამზადებელი სამუშაოები წარმართეს ხარვეზებით. შემჭიდროებული ვადების გამო მნიშვნელოვანი ხარვეზები იყო მოსახლეობის ინფორმირების კუთხით. მათთვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა მხოლოდ საჯარო თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის გამოკვრით.

მუნიციპალიტეტები ინფორმაციის გავრცელებისა და საჯაროობის მიზნით არ იყენებდნენ საკუთარ ვებგვერდებს, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებშია ინფორმაცია გასაჯაროებული.

• რიგ შემთხვევაში მოსახლეობასთან შეხვედრები ჩატარდა დაჩქარებული წესით, მხოლოდ რამდენიმე საათიანი შუალედებით. მოქალაქეებს არ ჰქონდათ საშუალება წინასწარ მიეღოთ სრულყოფილი ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ, წარმოედგინათ საპროექტო ინიციატივები და შესაბამისად, სრულად ჩართულიყვნენ პროცესში.

• რიგ შემთხვევებში მოსახლეობასთან შეხვედრები ჩატარდა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და არა ცალკეული სასოფლო დასახლებული პუნქტების მიხედვით.

• მუნიციპალიტეტების უფლებამოსილ პირებს მოსახლეობასთან შეხვედრებზე ხშირ შემთხვევაში განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული საკითხები, შეხვედრები ტარდებოდა დაჩქარებული წესით და შეხვედრებსა და კენჭისყრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

• მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ არ მოახდინა მოსახლეობის ინიციატივების თანადაფინანსება და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა დაიხარჯა.

• პროექტების შემუშავების პროცესი არ ეფუძნება არსებული პრობლემების სიღრმისეულ შეფასებას და საჭიროებათა ანალიზს (მსგავსი პრაქტიკა საერთოდ არ ფიქსირდება).

• პროექტების შემუშავების პროცესში არ ჩანს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და ბენეფიციართა კმაყოფილების შესწავლის შედეგების გათვალისწინება ძალზე იშვიათია.

• ზოგადია ან საერთოდ არ არსებობს საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასებების პროცედურები. ამავე დროს ამას თვითმმართველობებს არც მარეგულირებელი აქტები არ ავალდებულებს.

• არ ხდება ზოგადად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტურობის შემოწმება შესრულებული პროექტების შედეგების ანალიზის საფუძველზე;

• პროექტების მიმდინარეობის საფუძველზე მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ხარისხი საკმაოდ დაბალია და აშკარად საჭიროებს გაუმჯობესებას. მართალია, ამ ინფორმაციის ნაწილის მოპოვება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია, მაგრამ პროაქტიულად მისი დიდი ნაწილის გამოქვეყნება არ ხდება;

• თვითმმართველობები არ ახდენენ საგრანტო პროექტების განხორციელების შემდეგ უშუალოდ ბენეფიციართა (მოქალაქეთა) კმაყოფილების ხარისხის შესწავლას;

• არ ხდება პროექტების განხორციელების პროცესში მიღებული შედეგების ანალიზის გათვალისწინება შემდეგი წლის სამუშაოების დაგეგმვისას.

რეკომენდაციები

• გაიაზრონ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრების, მათი პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობა და დასახლების საერთო კრებებსა და კონსულტაციებს რეალური პოლიტიკური პოტენციალი დაუბრუნონ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში მცხოვრებლებისათვის) თვითმმართველობაში მონაწილეობის თვალსაზრისით;

• დაგეგმონ ხანგრძლივი კამპანია, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსით გათვალისწინებული დემოკრატიული მექანიზმების, მათ შორის, დასახლების საერთო კრების, კონსულტაციებისა და ჩართულობის სხვა მექანიზმების და მისი გამოყენების წესისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის;

• შეიმუშავონ დასახლების საერთო კრების ფასილიტაციის და ორგანიზების, ასევე საჭიროებების კვლევის დემოკრატიული მეთოდოლოგიების შესახებ დოკუმენტი, მათ თანაშრომლებსა და ადგილობრივი თემის ლიდერებს შესთავაზონ ამგვარი ტექნიკების შესწავლის სპეციალური პროგრამები და სწორედ ამ ცოდნაზე დაყრდნობით დაორგანიზდეს მომავალში საერთო კრებები;

- დასახლების საერთო კრებები დაგეგმონ დროში სამართლიანად და რაციონალურად განწილვადებული გრაფიკით, იმისთვის, რომ ადგილობრივებს მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ რეალური დისკუსიის და დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მიეცეთ. არსებითია, მუნიციპალურმა ორგანოებმა გაიაზრონ ქვემოდან ორგანიზებული პროცესების მნიშვნელობა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის და მონაწილეობის პრაქტიკების მხარდაჭერისთვის;
- სათანადო მეთოდოლოგიების გამოყენებითა და რეალური ფორმატების შექმნით უზრუნველყონ ადგილობრივი მოსახლეობის რეალური საჭიროებების იდენტიფიცირება და სწორედ რეალურ ინტერესებზე დაფუძნებული ადგილობრივი პოლიტიკის წარმართვა.
- საერთო კრებების შეკრებებისთვის შექმნას სათანადო გარემო და ინფრასტრუქტურა;
- გაიაზრონ, რომ დასახლების საერთო კრებების მექანიზმი ადგილობრივებში პოლიტიკური პროცესების მიმართ ნდობისა და იმედი შექმნის საფუძველია და მას მაღალი პასუხისმგებლობით მიუდგნენ;
- პროექტების შეფასების პროცესი - მისასალმებელი იქნება იმპერატიული გახდეს განხორციელებული პროექტების შედეგების ანალიზის შედეგად ზოგადად პროგრამის ეფექტურობის შემოწმების პროცესი;
- ბენეფიციართა (მოქალაქეთა) კმაყოფილება - ასევე იმპერატიულად უნდა დადგინდეს პროგრამის ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხის შესწავლა.
- საზოგადოების ინფორმირება - განსასაზღვრია როგორც ზოგადად პროგრამის, ისე ცალკეული პროექტების შესახებ იმ ინფორმაციის მინიმუმის დონე, რომელიც პროაქტიულად უნდა იყოს გამოქვეყნებული თვითმმართველობის მიერ;
- შემდეგი ეტაპების დაგეგმვა - პროექტების შეფასებისას მიღებული შედეგების ანალიზი გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ეტაპის (მომავალი წლის) აქტივობების დაგეგმვის პროცესში - დასრულებული პროექტების (ან მათი ეტაპების) შედეგების გათვალისწინება მომავალ საქმიანობათა დაგეგმვისას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროგრემების ეფექტურობას და ეფექტიანობას.